



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

მაგისტრანტ თეონა გოგიაშვილის ნაშრომი თემაზე:

*დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა, როგორც ხელმძღვანელთა ფუნქციონალური  
ავტონომიის ძირითადი წინაპირობა. (შედარებით სამართლებრივი კვლევა)*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
სამართლის დოქტორი დავით დოლიძე

გორი

2021

აბსტრაქტი.....	3
Abstract.....	3
შესავალი.....	5
1. დირექტორი, როგორც კორპორაციის აღმასრულებელი პირი.....	7
1.1. სამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.....	12
1.2. პრინციპალისა და აგენტის თეორია .....	14
2. ფუნქციონალური ავტონომიის ცნების ძირითადი ასპექტები .....	21
2.1. ფუნქციონალური ავტონომია საწარმოს წესდებისა და კანონმდებლობის საფუძველზე ..	21
2.2. დირექტორის საქმიანობაზე მეთვალყურეობა.....	21
2.3. ზედამხედველობა და ხელმძღვანელობითი საქმიანობა.....	24
2.4. დირექტორის პერსონალური პასუხისმგებლობა, როგორც ფუნქციონალური ავტონომიის წინაპირობა.....	27
თავი 3. დირექტორის ვალდებულებები.....	29
3.1. დირექტორის ფიდუციური მოვალეობები.....	29
3.2. დირექტორის კეთილსინდისიერება .....	31
3.2.1. გულმოდგინების ვალდებულება.....	32
3.2.2. ერთგულების ვალდებულება.....	36
3.3. აღმასრულებელ პირთა სამეწარმეო გადაწყვეტილებათა განსჯის წესები .....	38
„Business Judgement Rule” .....	38
თავი 4. დირექტორის პიროვნული უნარ-ჩვევები .....	42
თავი 5 დირექტორის დამოუკიდებლობა, როგორც ფუნქციონალური ავტონომიის ძირითადი გამოხატულება.....	45
5.1. დირექტორის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის შესაძლებლობა ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით; .....	45
5.2. დირექტორის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის შესაძლებლობა გერმანული საკორპორაციო სამართლის მიხედვით .....	48
5.3. დირექტორის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის შესაძლებლობა ა.შ.შ-საკორპორაციო სამართლის მიხედვით.....	50
დასკვნა .....	57
ბიბლიოგრაფია.....	60

## აბსტრაქტი

მოცემული კვლევის საგანია დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლები საქართველოს, გერმანიის და ა.შ.შ-ის კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. კვლევის ფარგლებში გაანალიზირებულია ამ ქვეყნების საკორპორაციო სამართლის ნორმების ნორმატიული შინაარსი და სასამართლო პრაქტიკა. კვლევის მიზნით გამოყენებულია ფორმალური, ლოგიკური და შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდები. ფორმალური ანალიზის მეთოდზე დაყრდნობით გაანალიზირებული და შედარებულია საქართველოს, გერმანიის და ა. შ. შ-ს სამართლის ნორმები დირექტორის დამოუკიდებლობის შესახებ სააქციო საზოგადოების მართვის პროცესში. ლოგიკური ანალიზის მეთოდზე დაყრდნობით გაანალიზირებულია სასამართლო პრაქტიკა, ხოლო შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდი გამოყენებულია საქართველოს, გერმანიის და ა.შ.შ.-ის საკორპორაციო სამართლის ნორმების ერთმანეთთან შედარების მიზნით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია სამართლის ნორმების ამოქმედება იმ შინაარსით, რომელიც გარკვეულწილად ქმნის დირექტორის დამოუკიდებლობის გარანტიებს საზოგადოების მართვის პროცესში. მოქმედი ქართული სამეწარმეო კანონმდებლობით ვერ დგინდება ინფორმირებულობის როგორი სტანდარტი ანთავისუფლებს დირექტორს პერსონალური პასუხისმგებლობისგან ისეთ შემთხვევაში, როდესაც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად საზოგადოებას მიადგება ზიანი. კვლევის ფარგლებში გაანალიზირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით გათვალისწინებული ცვლილებები რომლებიც ეხება ფიდუციური ვალდებულებების დარღვევას დირექტორის მიერ. კვლევის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

## Abstract

The subject of this research is the scope of the director's independence according to the legislation and case law of Georgia, Germany and the USA. The study analyzes the normative content and case law of the corporate law norms of these countries. Formal, logical and comparative legal research methods are used for the purpose of research. Based on the method of formal analysis, norms of law on the independence of the director in the process of managing a joint stock company are analyzed and compared. Judicial practice is analyzed based on the method of logical analysis, and the method of comparative legal research is used to compare the norms of corporate law in Georgia, Germany and the United States. As a result of the research, it was revealed that the new draft law of Georgia on Entrepreneurs envisages the enactment of legal norms with the content that to some extent guarantees the independence of the director in the

process of public management. On the other hand, these guarantees are insufficient and it is possible for a director to become a nominal figure in a case where a dualistic model of company management is chosen by the founders to manage the company. According to the new draft law on entrepreneurs, the issue of informing the director is not defined either. Based on the text of the law, it is not possible to determine what standard of awareness exempts the director from personal responsibility in the event when the company is damaged as a result of his decision. Within the framework of the research, the changes envisaged by the draft law of Georgia on “Entrepreneurs” related to the violation of fiduciary obligations by the director are analyzed. The final part of the study summarizes the results of the study.

## შესავალი

მოცემული ნაშრომი აქტუალურია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მცირეა ქართული კვლევები დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლების შესახებ კორპორაციის მართვის პროცესში. ნაშრომს აქტუალობას სძენს ის გარემოება, რომ იგი წარმოებულია შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნულ მეთოდზე დაყრდნობით გაანალიზირებულია როგორც ა.შ.შ.-ის, განსაკუთრებით დელავერის შტატის, ასევე გერმანიის საკორპორაციო სამართლის ნორმები. კვლევის აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა საკვლევი საკითხის მრავალმხრივი ანალიზი. ნაშრომში განსაზღვრულია რეკომენდაციები, რომლის თანახმად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა შევიდეს ცვლილებები, რათა მკაფიოდ დადგინდეს დირექტორის დამოუკიდებლობის და შესაბამისად მისი პასუხისმგებლობის ფარგლები საზოგადოების მართვისას მიღებული გადაწყვეტილებების დროს.ამავე მიმართულებით გაანალიზებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი პროექტის ცალკეული ასპექტებიც. დირექტორის პასუხისმგებლობის და მისი დამოუკიდებლობის ფარგლები არაა მკაფიოდ განსაზღვრული მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქმეს ართულებს ის გარემოებაც რომ მწირია სასამართლო პრაქტიკა აღნიშნული საკითხის თაობაზე. აქედან გამომდინარე მოცემული კვლევის საკითხი პრობლემური და აქტუალურია. კვლევის ფარგლებში გაანალიზირებულია როგორც საქართველოს, ასევე გერმანიის და ა.შ.შ-ის სასამართლო პრაქტიკა საკვლევი საკითხის თაობაზე. ნაშრომი მნიშვნელოვანია საკორპორაციო სამართლის კვლევით დაინტერესებული პირებისთვის. ნაშრომის მიზანია სააქციო საზოგადოების მართვის პროცესში დირექტორის დამოუკიდებლობის საკითხის შესწავლა და მისი შედარებით სამართლებრივი ანალიზი. ნაშრომის ამოცანებია: 1.კვლევის საგნის თაობაზე არსებული სამცნიერო წყაროების შესწავლა და მათში გამოთქმული მოსაზრებების ანალიზი; 2. კვლევის საგნის თაობაზე სამეცნიერო წყაროებში არსებული მოსაზრებების შედარება; 3. გერმანიის, საქართველოს და ა.შ.შ-ის საკორპორაციო სამართლის იმ ნორმების ნორმატიული შინაარსის ანალიზი, რომლების საფუძველზეც რეგულირდება კვლევის

საკითხი; 4. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი კვლევის საგნის თაობაზე; 5. რეკომენდაციების განსაზღვრა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით იმ ნორმებთან მიმართებით, რომლებიც არეგულირებენ დირექტორის დამოუკიდებლობის საკითხს საზოგადოების მართვის პროცესში.

კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით საკორორაციო სამართლის განვითარებული იურისდიქციების მსგავსად (მათ შორის ა.შ.შ.-ის დელავერის შტატის და გერმანიის საკორპორაციო სამართლის ნორმების ანალოგიურად), „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რის შედეგადაც განისაზღვრება დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლები და საზოგადოების წინაშე მისი პასუხისმგებლობის საფუძვლები.

კვლევა წარმოებულია ფორმალური, ლოგიკური და შედარებით სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით. ფორმალური ანალიზის მეშვეობით გაანალიზირებულია კვლევის საგნის თაობაზე არსებული სამართლის ნორმების ნორმატიული შინაარსი. ლოგიკური ანალიზის მეთოდი გამოყენებულია სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის მიზნით, ხოლო შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით ერთმანეთთან არის შედარებული საქართველოს, გერმანიის და ა.შ.შ.-ის საკორპორაციო სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ კვლევის საკითხს.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია სამართლის ლიტერატურა: სტატიები, დისერტაციები, საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელოები და კომენტარები, ასევე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები, რომლების მიხედვითაც განსაზღვრულია დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლები საქართველოს, გერმანიის და ა.შ.შ.-ის საკორპორაციო სამართალში. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა შემდეგი ბაზები: research gate; google scholar; ibrary.court.ge; <https://dejure.org/>, ასევე საქართველოს უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებების საძიებო სისტემები.

## 1. დირექტორი, როგორც კორპორაციის აღმასრულებელი პირი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მიხედვით საზოგადოების ხელმძღვანელობას ახორციელებენ დირექტორები<sup>1</sup>. შემთხვევითი არ არის რომ კანონმდებელი აღნიშნულ ტერმინს მრავლობით რიცხვში იყენებს. სააქაციო საზოგადოების მართვა შესაძლოა განახორციელოს როგორც ერთმა, ასევე რამდენიმე დირექტორმა. იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებას ჰყავს ერთი დირექტორი იგი მის მართვას ახორციელებს ერთპიროვნულად, ხოლო რამდენიმე დირექტორის შემთხვევაში საზოგადოება იმართება კოლეგიალურად. განსხვავებული საკორპორაციო სამართლის სისტემების მიხედვით, კაპიტალურ საზოგადოებებში კოლეგიურ მართვას ახორციელებენ დირექტორატი, გამგეობა და დირექტორთა საბჭო.

როგორც წესი, კოლეგიალურად გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს უმრავლესობის თანხმობას, ყველა მათგანის მიერ გადაწყვეტილების ხელმოწერას, იმ შემთხვევაში თუ დირექტორებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით აღნიშნული საკითხი განსხვავებულად არ არის დარეგულირებული. ხელშეკრულებების საფუძველზე რომელიც დაიდება დირექტორებთან შესაძლოა გათვალისწინებული იქნას კონკრეტული საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება. ამასთან, ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს რომ საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება აქვს ერთერთ დირექტორს. მესამე პირებთან დადებული ხელშეკრულება ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ მას ხელს აწერს საზოგადოების ერთერთი დირექტორი<sup>2</sup>.

უფლებამოსილებები რომლებიც დირექტორებს მინიჭებული აქვთ საზოგადოების მართვის მიზნით განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის წესდებას, რომელთანაც დირექტორი ან დირექტორები დებს კონტრაქტს. წესდებაში

<sup>1</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 1994, 56-ე მუხლი;

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=69> ხელმისაწვდომი 14.06.2021 მდგომარეობით

<sup>2</sup> ქოქრაშვილი, ქ., სამეწარმეო სამართალი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2010, 91

განსაზღვრული დირექტორის უფლებამოსილებები, რომლებსაც იგი ახორციელებს საწარმოს მართვის პროცესში მასთან დადებული ხელშეკრულების ტექსტში აისახება<sup>3</sup>. თუმცა საზოგადოების წესდება ზოგადი შინაარსის დოკუმენტია და ხშირად არ მოიცავს მითითებებს დირექტორის უფლებამოსილებების თაობაზე. შესაძლოა წესდებაში აღნიშნული იყოს მხოლოდ დირექტორის ვინაობა და ზოგადად მიეთითოს მის მიერ საზოგადოების გაძღოლის, ასევე მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შესახებ. მეტწილად ასეთ შემთხვევებს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც წესდება შაბლონურია და არაა შედგენილი ორგანიზაციის იურისტების მიერ. ასეთ შემთხვევაში დირექტორის უფლებამოსილებები, რომლებიც მას საზოგადოების მართვის მიზნით ენიჭება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების შესაბამისად. მეორე მხრივ იმ შემთხვევაშიც კი თუ დირექტორის უფლებამოსილებები (როგორც წარმომადგენლობითი, ასევე ხელმძღვანელობის) განსაზღვრულია წესდების ტექსტში, აღნიშნული დოკუმენტი დგება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აქედან გამომდინარე კონტრაქტში აღნიშნული უფლებამოსილებები ნებისმიერ შემთხვევაში განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმების საფუძველზე. დირექტორს არ შეიძლება მიენიჭოს ისეთი უფლებამოსილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს. ასევე დაუშვებელია მათი იმდაგვარი შეზღუდვა, რომ იგი წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნული კანონის ნორმებთან.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მიხედვით სააქციო საზოგადოების წარმომადგენლობას სასამართლოში ახორციელებენ დირექტორები. ამ საერთო წესიდან გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც დირექტორის წინააღმდეგ საზოგადოებას შეაქვს სარჩელი. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ საზოგადოება, რომლის წარმომადგენლობას და ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, უჩივლებს მას ფიდუციური მოვალეობების დარღვევის გამო, დირექტორი ვერ იქნება საზოგადოების წარმომადგენელი.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანი იყო იმასთან დაკავშირებით, რა ადგილი უკავია დირექტორს საზოგადოებაში. არ არსებობდა ერთიანი შეხედულება

---

<sup>3</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 1994, 56-ე მუხლი

იმასთან დაკავშირებით თუ რა სახის სამართალურთიერთობაში იმყოფებოდა დირექტორი იმ საზოგადოებასთან მიმართებით, რომელთანაც დებდა სასამსახურო ხელშეკრულებას. ერთი მოსაზრების თანახმად აღნიშნული სამართალურთიერთობა უნდა ყოფილიყო განხილული როგორც შრომითი ურთიერთობა. მეორე მოსაზრების მიხედვით იგი სცდებოდა შრომითი ურთიერთობის ფარგლებს და ითვალისწინებდა დირექტორის სტატუსს საკორპორაციო სამართალში, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს მმართველობის განმახორციელებელ ორგანოს<sup>4</sup>. დირექტორი წარმოადგენს მმართველობის განმახორციელებელ ორგანოს არამართო ქართულ, არამედ ა.შ.შ-ის საკორპორაციო სამართალშიც. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების საკორპორაციო სამართლის ნორმების მიხედვით დირექტორთა ბორდი იღებს საწარმოს მართვის თაობაზე გადაწყვეტილებებს და წარმოადგენს მმართველობის განმახორციელებელ ორგანოს, რომელსაც აქციონერთა კრება ირჩევს. ბორდის წევრებს-დირექტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ გადაწყვეტილებებისათვის, რომლებსაც ისინი იღებენ საზოგადოების მართვისას. ბორდი დამოუკიდებელი ორგანოა მიუხედავად იმისა რომ აირჩევა აქციონერთა კრების მიერ, არ ემორჩილება აქციონერების მიღებულ გადაწყვეტილებებს<sup>5</sup>. მნიშვნელობა არ აქვს მოწვეული დირექტორი იქნება ბორდის წევრი თუ შიდა დირექტორი. ორივე მათგანი ბორდის წევრია და განიხილება როგორც კორპორაციის მართვაზე გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო<sup>6</sup>.

შტატების კანონმდებლობის მსგავსად გერმანიის საკორპორაციო სამართალშიც დირექტორი წარმოადგენს მმართველობის განმახორციელებელ ორგანოს. გერმანიის საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებს მენეჯმენტის განმახორციელებელ გემგობას ("Vorstand") და სამეთვალყურეო საბჭოს ("Aufsichtsrat"). მენეჯმენტის განმახორციელებელი გამგეობა მართავს სააქციო საზოგადოებას. იღებს ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს საწარმოს ფუნქციონირების მიზნით. ეს ორგანო ამერიკული მოდელისგან განსხვავებით მხოლოდ შიდა დირექტორებისგან შედგება.

<sup>4</sup> ბურდული, ი., ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისათვის, ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“ №2, 2019; ხელმისაწვდომი 14.06.2021 მდგომარეობით

<sup>5</sup> ჭანტურია, ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 111

<sup>6</sup> იქვე, 114

სამეთვალყურეო საბჭო არა-აღმასრულებელი პირებისაგან არის დაკომპლექტებული და იგი აირჩევა საზოგადოების აქციონერების მიერ. აქედან გამომდინარე როგორც შიდა ასევე გარე დირექტორები მოქმედებენ როგორც სააქციო საზოგადოების ორგანოები, ხოლო მათი პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ ფუნქციების შესაბამისად, რომლებსაც ისინი ასრულებენ სააქციო საზოგადოებაში<sup>7</sup>. გერმანიის საკორპორაციო კანონის 76-ე პარაგრაფის მიხედვით დირექტორები პასუხისმგებლები არიან საზოგადოების მართვაზე. გამგეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი დირექტორისგან. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების კაპიტალი აღემატება სამ მილიონ ევროს გამგეობის შემადგენლობა არ უნდა იყოს ორ წევრზე ნაკლები. თუმცა თუ წესდებით განსაზღვრულია, რომ საზოგადოებას ჰყავს ერთი დირექტორი, მაშინ საწარმოს კაპიტალის ოდენობის მიუხედავად მისი მართვა უნდა განახორციელოს ერთმა დირექტორმა<sup>8</sup>. საზოგადოების გამგეობა გერმანიის საკორპორაციო სამართლის მიხედვით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას როგორც სასამართლოში, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობაში<sup>9</sup>. აქედან გამომდინარე დირექტორი/დირექტორები გერმანიის საკორპორაციო სამართლის მიხედვით, შტატების საკორპორაციო სამართლის მსგავსად, არ წარმოადგენენ მხოლოდ დაქირავებულ ფიზიკურ პირებს, არამედ მართავენ საზოგადოებას და მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდიან საზოგადოების სახელით, თვითონ წარმოადგენენ კორპორაციას.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა დირექტორის სამართლებრივი სტატუსის თაობაზე საკორპორაციო სამართლის ნორმების შესაბამისად განვითარდა და გაითვალისწინა დირექტორის ინსტიტუტის შინაარსი სამეწარმეო ურთიერთობებში. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სააქციო საზოგადოების დირექტორები წარმოადგენენ დამოუკიდებელ ორგანოს. ისინი გვევლინებიან როგორც საზოგადოების

<sup>7</sup> Baums, T., Personal Liabilities of Company Directors in German Law, University of Osnabruck, 2014, 2-3

<sup>8</sup> Stock Corporation Act, 2015, Section 76; <https://dejure.org/gesetze/AktG/76.html> ხელმისაწვდომი 14.06.2021 მდგომარეობით

<sup>9</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო

საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 61;

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/GAU%20Research%20Books%20and%20Documents/Davit%20Dolidze%20PhD%20Thesis->

[2017.pdf?fbclid=IwAR3N8q072UTFyboBalU\\_iV1epbzWd5E9W7tSDTL2x4WgUvxVQUPY\\_QsGgHc](https://www.gau.edu.ge/storage/app/media/GAU%20Research%20Books%20and%20Documents/Davit%20Dolidze%20PhD%20Thesis-2017.pdf?fbclid=IwAR3N8q072UTFyboBalU_iV1epbzWd5E9W7tSDTL2x4WgUvxVQUPY_QsGgHc)

ხელმისაწვდომი 14.06.2021 მდგომარეობით

პროფესიონალი მენეჯერები, რომლებიც საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში, დამოუკიდებლად წარმართავენ ორგანიზაციის საქმიანობას. აქედან გამომდინარე სააქციო საზოგადოების დირექტორების მიმართ არ ვრცელდება შრომის კოდექსის მოთხოვნები. სასამართლოს შეფასებით ის ურთიერთობა, რომელიც სასამსახურო ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებულია დირექტორსა და საზოგადოებას შორის თავისი არსით დავალების ხელშეკრულების მსგავსია. სასამართლომ მიუთითა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6-ე მუხლზე და განმარტა, რომ იმ სამართალურთიერთობის ბუნებას, რომელიც არსებობს დირექტორებსა და საზოგადოებას შორის ააშკარავებს ფიდუციური მოვალეობების შინაარსი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6-ე მუხლის მიხედვით დირექტორებს აკისრიათ პასუხისმგებლობა იზრუნონ საზოგადოების ინტერესებზე და მართონ იგი კეთილსინდისიერად. ამ მოვალეობების დარღვევის გამო ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ<sup>10</sup>. აღნიშნული ვალდებულება სასამართლოს განმარტებით გამომდინარეობს დავალების ხელშეკრულებიდან, რომელიც იდება კომპანიასა და დირექტორს შორის<sup>11</sup>.

დირექტორის სამართლებრივ სტატუსს გაუსვა ხაზი ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლომაც ერთერთი გადაწყვეტილების ფარგლებში და განმარტა, რომ დირექტორის საქმიანობა ატარებს სამეწარმეო ხასიათს. ამავეზე მიუთითებს ის გარემოება, რომ საზოგადოებასთან მისი ურთიერთობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე რეგულირდება. დირექტორი ახორციელებს საზოგადოების ქონების მართვას და წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორის პიროვნულ უნარებზეა დამოკიდებული განვითარდება თუ არა საწარმო. დირექტორისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება რისკებთანაა დაკავშირებული. შესაძლოა მან არ განახორციელოს საწარმოს ეფექტიანი მართვა რის შედეგადაც საზოგადოებას მიადგება ზიანი. აღნიშნული რისკების პრევენციის მიზნით საზოგადოების პარტნიორებს აქვთ უფლება ნებისმიერ დროს გაანთავისუფლონ დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან. სასამართლომ

<sup>10</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 1994, 9.6-ე მუხლი

<sup>11</sup> ბურდული, ი., ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისათვის, ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“ №2, 2019

განმარტა, რომ რადგან დირექტორის ურთიერთობა საწარმოსთან ვერ გაუთანაბრდება შრომით ურთიერთობასმ შესაბამისად მისი სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევა ვერ დარეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით<sup>12</sup>. შემდგომში აღნიშნული მოსაზრების ციტირება მოახდინეს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებმა. მათ შორის აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამაც<sup>13</sup>.

დირექტორის სპეციფიურ სტატუსზე საზოგადოების მართვის პროცესში მიუთითებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.7-ე მუხლი, რომლის მიხედვით *„ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით“*<sup>14</sup>. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე დირექტორსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მიმართ არ ვრცელდება საქართველოს შრომის კოდექსის ნორმები. კანონმდებელი ამომწურავად ჩამოთვლის იმ ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველებს, რომელიც არსებობს დირექტორსა და საზოგადოებას შორის. აღნიშნული ჩამონათვალი კი არ მიუთითებს შრომით სამართლებრივ ნორმებზე. აქედან გამომდინარე დირექტორსა და საზოგადოებას შორის დავა უნდა გადაწყდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების და საზოგადოების წესდების საფუძველზე.

### **1.1. სამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება**

დირექტორსა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს სამსახურო ხელშეკრულება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-882-832-2015

<sup>13</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-945-903-2013

<sup>14</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 1994, 9.7-ე მუხლი

რედაქცია არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, თუ რა სახის ხელშეკრულება იდება მხარეებს შორის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი პროექტი, რომელსაც საქართველოს პარლამენტი განიხილავს. კანონპროექტის 206 - ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, განსაზღვრულია, რომ პირის ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ, სააქციო საზოგადოება მასთან დებს სასამსახურო ხელშეკრულებას. ამდენად, მას შემდეგ, რაც კანონპროექტი კანონად იქცევა ქართულ საკორპორაციო სამართალში არაორაზროვნად იქნება დადგენილი დირექტორსა და კორპორაციას შორის არსებული კონტრაქტის სამართლებრივი სახე.

გერმანიის საკორპორაციო სამართალში, ასეთ ხელშეკრულებას, მომსახურების კონტრაქტის სახელწოდებით იცნობენ, როგორც ამის თაობაზე მიუთითებს გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის 84-ე პარაგრაფი. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე<sup>15</sup>. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში გსკ) 611-ე მუხლის მიხედვით „*მომსახურების (შრომითი) ხელშეკრულებით პირი, რომელიც ჰპირდება მომსახურების გაწევას, ვალდებულია, შეასრულოს ეს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია, გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური. მომსახურების (შრომითი) ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის მომსახურება*<sup>16</sup>“. ე.ი. დირექტორსა და ორგანიზაციას შორის ურთიერთობა მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე რეგულირდება, რომელიც არ განსხვავდება შრომითი ხელშეკრულებისგან. ამისდა მიუხედავად გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის მიხედვით დირექტორები არ მიიჩნევიან დაქრავებულ პირებად რადგან წარმოადგენენ სააქციო საზოგადოების მმართველ ორგანოს და მათ მიმართ არ ვრცელდება შრომის სამართლის ნორმები<sup>17</sup>. მიუხედავად იმისა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ

<sup>15</sup> This applies mutatis mutandis to the employment contract; However, it can provide that it will continue to apply in the event of an extension of the term of office until it expires, Stock Corporation Act, 2015, Section 76

<sup>16</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 611-ე პარაგრაფი;

[http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-](http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKbH093sw4)

[ge BGB GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH\\_gOCgTgU8LE\\_zNZDzpoJgIZ1dvBKuKbH093sw4](http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKbH093sw4) ხელმისაწვდომი 14.06.2021 მდგომარეობით

<sup>17</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 83

მიუთითებს აღნიშნული გარემოების თაობაზე სავარაუდოდ დირექტორებსა და საზოგადოებას შორის ასევე იდება შრომითი ხელშეკრულება, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების სინონიმია, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში დავა წყდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმების საფუძველზე. ე.ი. მხარეები დებენ შრომით ხელშეკრულებას, რომელიც არ რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით. ამასთან, გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონისგან განსხვავებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად არასავალდებულოა სასამსახურე ხელშეკრულების დადება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის სასამსახურე ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში დავა უნდა გადაწყდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რომელიც მკაფიოდ არ ადგენს დირექტორის პასუხისმგებლობის ფარგლებს, სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია კანონში დაგეგმილი ცვლილებები რომლის საფუძველზეც დირექტორთან სამსახურო ხელშეკრულების დადება იქნება აუცილებელი. საკითხის ამგვარი მოწესრიგება სამომავლოდ გაუმარტივებს სასამართლოს დირექტორის პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენას და დავის გადაწყვეტას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა მწირია საკორპორაციო დავების კუთხით. აქედან გამომდინარე სასამართლოს გაუძნელებლობა იმსჯელოს დირექტორის პასუხისმგებლობის ფარგლების თაობაზე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით. ამასთან, მიზანშეწონილია სასამსახურე ხელშეკრულების ცნება განისაზღვროს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რაც მოხსნის კითხვებს აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე.

## 1.2. პრინციპალისა და აგენტის თეორია

მოსაზრება რომლის თანახმადაც აქციონერები წარმოადგენენ საზოგადოების დირექტორებზე მინდობილ პირებს საკორპორაციო სამართლის შესახებ

ლიტერატურაში არაერთხელაა გამოთქმული. მაგალითად, აქციონერები მეტწილად მინდობილი არიან დირექტორებზე. აქედან გამომდინარე დირექტორები გვევლინებიან როგორც აქციონერების ინტერესების წარმომადგენლები. საზოგადოების აქციონერებს სჭირდებათ გარკვეული მექანიზმები დირექტორებზე გავლენის მოხდენის მიზნით, რათა დირექტორებმა არ იმოქმედონ სათავისოდ, არამედ იმოქმედონ ისე როგორც ეს შეესაბამება აქციონერების ინტერესებს<sup>18</sup>. დირექტორი საზოგადოების ხელმძღვანელია და არ წარმოადგენს მის მესაკუთრეს. საზოგადოების მართვას იგი ახორციელებს როგორც მინდობილი პირი. ფიდუციური მოვალეობების დაყოფა სწორედ მინდობილი პირისათვის დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების სურვილით არის განპირობებული<sup>19</sup>. იმ მოსაზრების გათვალისწინებით რომ საზოგადოების დირექტორები მოქმედებენ როგორც მინდობილი პირები, იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია „პრინციპალი-აგენტის“ თეორია. აღნიშნული თეორიის მიხედვით დირექტორები არიან იმ ორგანიზაციის აქციონერების აგენტები, რომლის მართვასაც ახორციელებენ. ისინი წარმოადგენენ აგენტებს, რომლებმაც უნდა იმოქმედონ პრინციპალების, აქედან გამომდინარე ორგანიზაციის ინტერესების შესაბამისად, ხოლო პრინციპალები წარმოადგენენ ორგანიზაციის მფლობელებს, რომლებიც მას ფლობენ აქციათა წილის შესაბამისად<sup>20</sup>. პრინციპალისა და აგენტის თეორიის მიხედვით მინდობის ხელშეკრულების მსგავსი სამართალურთიერთობის ჩამოყალიბების შედეგად პრინციპალი გადასცემს აგენტს საკუთრების განკარგვის უფლებამოსილებას. პრინციპალს რჩება საკუთრება აქციების სახით, ხოლო აგენტს უფლებამოსილება რომ მოახდინოს აღნიშნული საკუთრების განკარგვა<sup>21</sup>. პრინციპალის მიერ ბენეფიციარისთვის უფლებამოსილებების გადაცემის შედეგად სააქციო

<sup>18</sup> ბაქაქური, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ., ჯუღელი, გ., გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019, 20; [http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge-corporate-law-handbook.pdf?fbclid=IwAR2UvTtmPs1zmRRh0\\_ZfzbpqV6rBLxr0TWwzj769Qwlch7mWDFcmDAi1Zg](http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge-corporate-law-handbook.pdf?fbclid=IwAR2UvTtmPs1zmRRh0_ZfzbpqV6rBLxr0TWwzj769Qwlch7mWDFcmDAi1Zg) ხელმისაწვდომი 14.06.2021 მდგომარეობით

<sup>19</sup> ბოჭორიშვილი, მ., თოხაძე, ა., დირექტორის მოვალეობათა კოლიზია, როგორც ინტერესთა კონფლიქტის ცალკეული შემთხვევა, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, #1(2), თბ., 2014, 5; [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/146114/1/Modern\\_Law\\_Review\\_2014\\_N1.pdf?fbclid=IwAR2d7V\\_OP0DvNA2\\_e1Ni2aOH5MikoRR\\_qmVINS7s\\_nZk73Z8qz0JMh2Iw](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/146114/1/Modern_Law_Review_2014_N1.pdf?fbclid=IwAR2d7V_OP0DvNA2_e1Ni2aOH5MikoRR_qmVINS7s_nZk73Z8qz0JMh2Iw) ხელმისაწვდომი 14.06.2021 მდგომარეობით

<sup>20</sup> დოლიძე, დ., დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლები სააქციო საზოგადოებაში, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ #4, 2016

<sup>21</sup> Principal-Agent Problem

The conflict of interest between the agent and the

principal <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/other/principal-agent-problem/>

საზოგადოების მართვაზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილი ხდება კომპანიის დირექტორთა ბორდი. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ აქციონერები ფლობენ კომპანიას ისინი კარგავენ მისი მართვის უფლებას. ამასთან დირექტორები კისრულობენ ვალდებულებას აქციონერებისთვის სასარგებლოდ და მათი ინტერესების შესაბამისად აწარმოონ ორგანიზაციის მართვა. აქციონერების სასარგებლოდ სააქციო საზოგადოების მართვა გულისხმობს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებსაც შედეგად მოყვება საზოგადოების მოგების მაქსიმიზაცია<sup>22</sup>.

პრინციპალებად და აგენტებად ორგანიზაციის მენეჯმენტის და აქციონერების დაყოფა რიგ სპეციფიურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. მაგალითად როგორცაა არაკეთილსინდისიერად, საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით აგენტების მიერ გარიგებების დადება. ასევე მენეჯერების მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებისაგან თავის არიდება, ან არასათანადო შესრულება. ზოგ შემთხვევაში ასეთი ფაქტები შესაძლოა არ გამომჟღავნდეს დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე, ხოლო მენეჯერის მიერ შესრულებული სამუშაო, მის მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციები, შესყიდვები, ინვესტიციები სხვადასხვა პროექტებში წამგებიანი იყოს და არ შეესაბამებოდეს კომპანიის ინტერესებს. პრინციპალი-აგენტის ურთიერთობიდან გამომდინარე კორპორაციაში შესაძლოა წარმოიშვას თანამდებობრივი ხასიათის კონფლიქტებიც, რომლებსაც მრავალგვარი გამოხატულება გააჩნია. მაგალითად, მენეჯერებმა შესაძლოა გაართულონ მათზე ზედამხედველობის განხორციელება და შექმნან კორპორაციაში ხელოვნური ბარიერები<sup>23</sup>. ასევე შესაძლებელია მენეჯერებმა შექმნან ისეთი გარემოებები, რომლებიც ართულებს მათ განთავისუფლებას თანამდებობიდან.

დირექტორებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მათი კონტროლის ერთერთ ინსტიტუციონალურ მექანიზმს წარმოადგენს. იგი მიზნად ისახავს მენეჯმენტის ინტერესების თანხვედრას აქციონერებისა და დასაქმებულების ინტერესებთან. ე.ი. ის

---

<sup>22</sup> *Despovic, D.*, Fiduciary Duties and the Business Judgment Rule, University of Tilburg, 2010, 6;

<https://poseidon01.ssrn.com/delivery.php?ID=475067021089027025011031024018112005125033039077095007109009103022025028089068088027011106020047055036105025067124019067075110098057087032023082003073108008121024003028034084093028003094065101001121089003026113006068107066030088097013107069120084074021&EXT=pdf&INDEX=TRUE> ხელმისაწვდომი 14.06.2021 მდგომარეობით

<sup>23</sup> *Baums, T.*, Personal Liabilities of Company Directors in German Law, University of Osnabruck, 2014, 4

სამართალურთიერთობა, რომელიც მყარდება დირექტორებსა და აქციონერებს შორის უნდა ითვალისწინებდეს ორივე მხარის ინტერესებს. არსებობს დირექტორთა კონტროლის სხვა მექანიზმებიც. მაგალითად როგორებიცაა დირექტორების წახალისება მათ მიერ სამუშაოს ეფექტიანად შესრულების გამო. ასეთ დროს სამსახურე ხელშეკრულებაში შეიძლება ჩაიდოს პირობა, რომ თუ კორპორაციის მოგება გაიზრდება განსაზღვრული პროცენტით (მოგების პროცენტი განისაზღვრება ხელშეკრულების ტექსტში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე) კორპორაციის დირექტორი მიიღებს განსაზღვრულ ბონუსს, ან გაეზრდება ხელფასი. მხარეები არ არიან შეზღუდულები ხელშეკრულებაში მიუთითონ დირექტორის წახალისების სხვადასხვა მატერიალური ფორმების თაობაზე. პრინციპალისა და აგენტის ურთიერთობიდან გამომდინარე მენეჯმენტის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო (supervisory board) და აუდიტორები. დირექტორებზე კონტროლის მექანიზმს გარკვეულწილად ქმნის როგორც პროდუქციის, ასევე შრომისა და კაპიტალის ბაზარი. დირექტორი იძულებულია განახორციელოს საკუთარი მოვალეობები იმგვარად, რომ გაუძლოს ბაზარზე შექმნილ კონკურენციას კორპორაციებს შორის, რომლებიც ოპერირებენ ეკონომიკის ერთი და იგივე სეგმენტში. მეორე მხრივ დირექტორზე ზეწოლას ახდენს ის კონკურენციაც, რაც შრომის ბაზარზე არსებობს. იმ შემთხვევაში თუ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ჩათვლის, რომ დირექტორი არასათანადოდ ახორციელებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, იგი თანამდებობიდან გაანთავისუფლებს დირექტორს და დანიშნავს სხვა პირს<sup>24</sup>.

პრინციპალისა და აგენტის თეორიისგან განსხვავებული მიდგომა განავითარა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა სტეფან ბენბრიჯმა. ბენბრიჯის აზრით დირექტორის პრიმატი, მისი უპირატესი როლი უფრო ზუსტად და შესატყვისად ასახავს იმ ურთიერთმიმართებას, რაც არსებობს სააქციო საზოგადოებაში აქციონერებსა და დირექტორებს შორის. ბენბრიჯის მიდგომის მიხედვით კორპორაცია წარმოადგენს ისეთ მანქანას, რომლის მეშვეობით დირექტორთა ბორდი ქმნის პროდუქციას<sup>25</sup>.

<sup>24</sup> *Baums, T.*, Personal Liabilities of Company Directors in German Law, University of Osnabruck, 2014, 4

<sup>25</sup> *Despovic, D.*, Fiduciary Duties and the Business Judgment Rule, University of Tilburg, 2010, 6

ბენბრიჯის აზრით დირექტორები არ წარმოადგენენ საზოგადოების აგენტებს. დირექტორთა ბორდი წარმოადგენს კორპორაციული მართვის მექანიზმის შემადგენელ ნაწილს, დამაკავშირებელ რგოლს რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტრაქტების დადებას საზოგადოების ფუნქციონირების მიზნით. ბენბრიჯის მოსაზრებით დირექტორთა პრიმატი სააქციო საზოგადოებაში არსებობს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მათ მიერ გადაწყვეტილებების ცენტრალიზებულად მიღება წარმოადგენს ეფექტიანი კორპორაციული მართვის აუცილებელ ატრიბუტს. მეორე მხრივ დირექტორთა პრიმატის თაობაზე ბენბრიჯის მოსაზრება ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება არც აქციონერებს აქვთ და არც დირექტორებს. ამაზე პასუხისმგებელი არის დირექტორთა საბჭო. ამასთან ბენბრიჯი ხაზს უსვავს იმ გარემოებას, რომ დირექტორის პრიმატი კორპორაციაში ააშკარავებს საკორპორაციო სამართლის მთავარ პრობლემას, რომელიც გამოხატება ანგარიშვალდებულების განსაზღვრაში დირექტორებსა და აქციონერებს შორის. ბენბრიჯის აზრით business judgment rule-არის ის პრინციპული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც საკორპორაციო სამართალი გადაჭრის აღნიშნულ პრობლემას<sup>26</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ბენბრიჯი უარყოფს პრინციპალისა და აგენტის თეორიას, იგი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ დირექტორი ანგარიშვალდებულია ბორდის წინაშე<sup>27</sup>.

მიზანშეწონილია დაისვას კითხვა, რამდენად მართებულია აგენტისა და პრინციპალის თეორია დირექტორების მიერ აქციონერებთან მიმართებით ნაკისრი მოვალეობების გათვალისწინებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უპირველეს ყოვლისა უნდა ავლნიშნოთ, რომ დირექტორებსა და აქციონერებს შორის არსებული ურთიერთობა არ არის საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ანალოგი. ეს ურთიერთობები მსგავსია თავისი შინაარსით. საკუთრების მინდობის შემთხვევაში ქონება საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად უნდა იმართოს<sup>28</sup>. ე.ი. ხელშეკრულების მიზანი არის ქონების იმგვარი მართვა, რომ მიმნდობის ინტერესები

<sup>26</sup> *Bainbridge, S.*, The Business Judgment Rule as Abstention Doctrine, *Vanderbilt Law Review* #83 (2019), 86; <https://scholarship.law.vanderbilt.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1665&context=vlr>  
ხელმისაწვდომი 14.06.2021 მდგომარეობით

<sup>27</sup> *Despovic, D.*, *Fiduciary Duties and the Business Judgment Rule*, University of Tilburg, 2010, 6

<sup>28</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 724-ე მუხლი.

დაკმაყოფილდეს. სხვა საქმეა რომ მინდობილ მესაკუთრეს აქვს გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება საკუთრების მართვის გამო სსკ-ის 726-ე მუხლზე მითითებით. აქედან გამომდინარე ცალსახაა, რომ აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობა საკუთრების მიმდობის ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება და არა მინდობილი მესაკუთრის. გამომდინარე იქიდან რომ ხელშეკრულების საფუძველზე სარგებელს იღებს მინდობილი მესაკუთრე ხარჯებიც მან უნდა გასწიოს<sup>29</sup>.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლის მიხედვით დირექტორების მოქმედების მიზანი საზოგადოებისთვის სარგებელის მოტანა უნდა იყოს. კანონმდებელი ამ შემთხვევაში მიუთითებს ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებაზე, რაც გულისხმობს მოგების და საგადასახადო ოპტიმიზაციას. ტერმინი „ხელსაყრელი“ ამ შემთხვევაში გამოყენებულია ეკონომიკური მნიშვნელობით<sup>30</sup>. ერთი მხრივ დირექტორი უნდა ზრუნავდეს კომპანიის მოგების გაზრდაზე, ხოლო მეორე მხრივ არ უნდა იღებდეს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიზნად ისახავს გადასახადებისგან თავის არიდებას. ე.ი. აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს როგორც ეკონომიკურად სასარგებლო, ასევე არასაზიანო გადაწყვეტილებების მიღებას დირექტორის მიერ<sup>31</sup>. აქედან გამომდინარე მართვის უფლებამოსილებები დირექტორებს საზოგადოების ინტერესების რეალიზების მიზნით გადაეცემათ და არა საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ როდესაც აქვს ადგილი ინტერესთა კონფლიქტს უპირატესობა საზოგადოების ინტერესებს უნდა მიენიჭოს<sup>32</sup>. საზოგადოების ქონებას ფლობენ აქციონერები, ხოლო სასამსახურე ხელშეკრულება იღება საზოგადოებასა და დირექტორს/დირექტორებს შორის. აქედან გამომდინარე პრინციპალებს წარმოადგენენ არა აქციონერები არამედ თავად სააქციო საზოგადოება. შემთხვევითი არ არის რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6-ე და 56-ე მუხლებში კანონმდებელი საუბრობს დირექტორების მიერ საზოგადოების წინაშე

<sup>29</sup> რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 724-ე მუხლის კომენტარი, თბ., 2019, 1;

<sup>30</sup> თოდუა, უ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), 2019 217

<sup>31</sup> მალრაძე, გ., მეწარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის /აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი №1, 2017, 163

<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/7353> ხელმისაწვდომი 14.06.2021 მდგომარეობით

<sup>32</sup> თოდუა, უ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), 2019, 72

არსებული ვალდებულებების თაობაზე. აქედან გამომდინარე პრინციპალი არის დირექტორების მიერ მართული საზოგადოება. რაც შეეხება ბენზრიჯის მოსაზრებას დირექტორების პრიმატის თაობაზე იგი არამართებულია და ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ დირექტორების გარეშე საზოგადოების მართვა ვერ განხორციელდება. ბემბრიჯი არსებითად მიუთითებს დირექტორების ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხზე, რაც არ გამორიცხავს პრინციპალისა და აგენტის თეორიის მართებულობას<sup>33</sup>. არსებითად არ არსებობს წინააღმდეგობა დირექტორის ფუნქციონალურ დამოუკიდებლობასა და პრინციპალისა და აგენტის თეორიას შორის. ერთი მხრივ დირექტორს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, ხოლო მეორე მხრივ იგი მოქმედებს როგორც აგენტი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

---

<sup>33</sup> *Bainbridge, S., The Business Judgment Rule as Abstention Doctrine, Vanderbilt Law Review* #83 (2019), 86

## 2. ფუნქციონალური ავტონომიის ცნების ძირითადი ასპექტები

### 2.1. ფუნქციონალური ავტონომია საწარმოს წესდებისა და კანონმდებლობის საფუძველზე

დირექტორის ფუნქციონალური ავტონომია ნიშნავს მისი დამოუკიდებლობის იმ ფარგლებს, რომლებშიც მოქმედებს საწარმოს ხელმძღვანელი ორგანო კანონის შესაბამისად. საქართველოს შემთხვევაში დირექტორის ფუნქციონალური ავტონომიის ფარგლები დადგენილი უნდა იყოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სააქციო საზოგადოებათა შესახებ გერმანიის კანონის მიხედვით განსაზღვრულია რომ გამგეობის წევრების ფუნქციონალური ავტონომიის საფუძველია საკუთარი პასუხისმგებლობის მიხედვით საწარმოს მართვის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს მსგავსი ტიპის ჩანაწერს, თუმცა სამართლის მკვლევარების მოსაზრებით დირექტორის ფუნქციონალურ ავტონომიას საკუთარი პასუხისმგებლობა უდევს საფუძვლად. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დირექტორები საწარმოს მართავენ ფუნქციონალური ავტონომიის მეშვეობით და საკუთარი პასუხისმგებლობით, მიზანშეწონილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვით განისაზღვრება დირექტორის ფუნქციონალური ავტონომიის სამართლებრივი საფუძვლები და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ისეთი შემთხვევები, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერევიან დირექტორის საქმიანობაში<sup>34</sup>.

### 2.2. დირექტორის საქმიანობაზე მეთვალყურეობა

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამინდელი რეგულაციის მიხედვით საზოგადოების დირექტორებზე კონტროლის მექანიზმები სუსტია<sup>35</sup>. ეს სისუსტე იმაში

<sup>34</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 137

<sup>35</sup> ბაქაძური, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ., ჯუღელი, გ., გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019, 75

გამოიხატება, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭო არ წარმოადგენს სავალდებულო ორგანოს. ე.ი. დირექტორების საქმიანობაზე კონტროლი შესაძლოა ვერ განხორციელდეს. ეს რისკის შემცველია ინვესტორებისთვის რადგან მათთვის მნიშვნელოვანია დირექტორების საქმიანობის პროცესში მიღებული იქნას ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც საზოგადოების ინტერესით იქნება ნაკარნახევი<sup>36</sup>. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ერთმანეთისგან არ არის მკაფიოდ გამიჯნული ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციის მქონე ორგანოები. აქედან გამომდინარე აღნიშნული ფუნქციები შესაძლოა დირექტორებმა შეითავსონ. ასეთ შემთხვევაში დირექტორები არიან როგორც გადაწყვეტილების მიმღებები, ასევე ამ გადაწყვეტილების განხორციელებაზე კონტროლის მქონე ორგანო. ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ ასეთი კონტროლის მექანიზმი არაა სანდო და არ უტოვებს სააქციო საზოგადოების აქციონერებს დირექტორების საქმიანობის კონტროლის რეალურ შესაძლებლობას<sup>37</sup>. მეორე მხრივ კონტროლისა და მართვის ფუნქციების ერთი ორგანოს ხელში თავმოყრა არ არის უცხო ა.შ.შ-ის საკორპორაციო სამართლისთვის. დირექტორთა ბორდს შეუძლია შეითავსოს როგორც მართვის ასევე გადაწყვეტილებების განხორციელების კონტროლის ფუნქციები. შესაბამისად ბორდი ითავსებს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებსაც<sup>38</sup>.

ახალი კანონის 205-ე მუხლის მიხედვით წესდებით ან კანონით დადგენილ შემთხვევებში დირექტორი ვალდებულია მისი გადაწყვეტილებები შეუთანხმოს სამეთვალყურეო საბჭოს. აქედან გამომდინარე არსებობს მმართველი ორგანოს საქმიანობის კონტროლის მექანიზმები იმ შემთხვევაში თუ სააქციო საზოგადოებაში მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭო<sup>39</sup>. საბჭოს აქვს საზოგადოების დირექტორების საქმიანობის კონტროლის შემდეგი მექანიზმები: სააქციო საზოგადოების ანგარიშის გამოთხოვის უფლება; საწარმოს საქმიანი დოკუმენტაციის გამოთხოვის, შემოწმების და

---

<sup>36</sup> იქვე, 75

<sup>37</sup> *დოლიძე, დ.*, კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 98

<sup>38</sup> *ჭანტურია, ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 112

<sup>39</sup> იქვე, 248-249

შესწავლის უფლება; ხელმძღვანელი ორგანოს ანგარიშების გაცნობის უფლება<sup>40</sup>. ამჟამად სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნული ფუნქციები განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მიხედვით<sup>41</sup>. ამასთან ახალმა კანონპროექტმა შემოიტანა მნიშვნელოვანი გარიგების დადების წესი, რომელსაც არ იცნობს კანონის ამჟამინდელი რედაქცია. მნიშვნელოვანია გარიგება იმ შემთხვევაში თუ მისი დადების შედეგად ხდება საწარმოს აქტივების 25%-ის ან მეტის განკარგვა. მნიშვნელოვანი გარიგების დასადებად დირექტორებს ესაჭიროებათ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა. კანონპროექტის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით *„თუ წესდებით სხვა რამ არის გათვალისწინებული, გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი გარიგების დადებაზე თანხმობის შესახებ, რომლის ღირებულება სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 25-იდან 50-ამდე პროცენტს შეადგენს, მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა კრების, ხოლო მონისტურ სისტემაში არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირის ან პარტნიორთა კრების მიერ“<sup>42</sup>*

იმისათვის რომ დირექტორებზე კონტროლის მექანიზმი განსაზღვრული იყოს წესდების მიხედვით დამფუძნებელმა პარტნიორებმა ან/და აქციონერებმა უნდა გაითვალისწინონ ასეთი მექანიზმები. ცხადია რომ სამეთვალყურეო საბჭოს ის ფუნქციები, რომლებიც მას მიენიჭება წესდების საფუძველზე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ რეგულაციებს. იმ შემთხვევაში თუ წესდებით განისაზღვრება დირექტორის საქმიანობაში ჩარევის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, უპირატესობა ენიჭება სამართლის ნორმებს. იმ შემთხვევაში თუ წესდების მიხედვით არ არის დადგენილი დირექტორის ან დირექტორების საქმიანობის კონტროლის მექანიზმები, მოქმედებს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

---

<sup>40</sup> იქვე, 255

<sup>41</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 1994, 55-ე მუხლი

<sup>42</sup> იქვე, 271

### 2.3. ზედამხედველობა და ხელმძღვანელობითი საქმიანობა

მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორატზე განსახორციელებელი კონტროლი და გასაკონტროლებელ საქმიანობაში ჩარევა. ამისთვის მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ის ფუნქციები, რომლებიც აქვს დირექტორებს და სამეთვალყურეო საბჭოს. ამასთან კანონმდებელმა მკაფიოდ უნდა დაადგინოს აღნიშნული ფუნქციები, იმისათვის რომ საკანონმდებლო ნორმების ორაზროვანი შინაარსი არ იძლეოდეს განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაძლებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით აქვს დირექტორების კონტროლის ფუნქცია. დირექტორების კონტროლისგან განსხვავებით მათ საქმიანობაში ჩარევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან წევრები ერევიან დირექტორის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რის შედეგადაც იზღუდება დირექტორის ფუნქციონალური ავტონომია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ აქვთ უფლება განუსაზღვრონ დირექტორებს რომელი გადაწყვეტილებები მიიღონ საწარმოს მართვის პროცესში და რომელი არა. ამ გადაწყვეტილებას დირექტორები იღებენ დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე<sup>43</sup>. სამეთვალყურეო საბჭოს აქვს უფლება გააკონტროლოს დირექტორების საქმიანობა. მაგალითად, მას შემდეგ რაც დირექტორი ან დირექტორები მიიღებენ გადაწყვეტილებებს სამეთვალყურეო საბჭოს აქვს უფლება მოთხოვოს მათ დაასაბუთონ ამ გადაწყვეტილების გონივრულობა და სარგებლიანობა საზოგადოებისთვის. ამასთან, საბჭო აკონტროლებს როგორც წარსულში დირექტორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ასევე სამომავლოდ მისაღებ გადაწყვეტილებებსაც<sup>44</sup>. ამავეზე მიუთითებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-7 ნაწილი. მაგალითად საწარმოს საქმიანობის შესახებ საქმიანი დოკუმენტაციის გამოთხოვის შედეგად სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია ერთდროულად განახორციელოს კონტროლი როგორც საწარმოს წარსულ საქმიანობაზე,

<sup>43</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 105

<sup>44</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 107

ასევე იმ ღონისძიებებზე რომლების განხორციელებასაც დირექტორი ან დირექტორები გეგმავენ სამომავლოდ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები არ არის გამიჯნული დირექტორების ფუნქციებისგან. აქედან გამომდინარე კანონი არ ადგენს მკაფიოდ რომ საზოგადოების კონტროლი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ. კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ დირექტორები<sup>45</sup>. სამწუხაროდ 2008 წელს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ ამ მიმართულებით უკან გადაიდგა ნაბიჯები: ნაცვლად იმისა რომ მკაფიოდ გაემიჯნა სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორების ფუნქციები, ასევე მათი შემადგენლობა, კანონმდებელმა დასაშვებად მიიჩნია სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორებით დაკომპლექტება. კანონის ნორმის გაუქმებული რედაქციის მიხედვით „*სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად ვერ იქნებოდა დირექტორი, ან სხვა პასუხისმგებელი აღმასრულებელი ოფიცერი*“<sup>46</sup>. კანონის გაუქმებული რედაქცია ითვალისწინებდა იმასაც, რომ დირექტორის ფუნქციები არ შეიძლება გადაცემოდა სამეთვალყურეო საბჭოს. ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით დირექტორის ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებული იქნება საზოგადოების წესდებით<sup>47</sup>. დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების ერთმანეთისგან გამიჯვნის საკითხი დაარეგულირა ახალმა კანონპროექტმა. შემოთავაზებული ვარიანტის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა არ შეიძლება შეითავსონ დირექტორების ფუნქციები საზოგადოების წესდების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე<sup>48</sup>. აქედან გამომდინარე ფუნქციათა აღრევის საკითხს კანონპროექტი ნაწილობრივ აწესრიგებს, თუმცა მეორე მხრივ შესაძლებლობას იძლევა საზოგადოების მართვა განხორციელდეს მონისტური სისტემის მიხედვით, ისევე როგორც

<sup>45</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 1994, 55-ე მუხლი

<sup>46</sup> ბაქაქური, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ., ჯუღელი, გ., საკორპორაციო სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019, 75

<sup>47</sup> ბაქაქური, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ., ჯუღელი, გ., საკორპორაციო სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019, 75

<sup>48</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, თბ., 2021, 212-ე მუხლი

დუალისტური სისტემის საფუძველზე. ამ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს დირექტორები ითავსებენ. დუალისტური და მონისტური მართვის სისტემის არჩევის შესაძლებლობა, რაც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით არ გვადლევს შესაძლებლობას მართვის რომელიმე მოდელს მივაკუთნოთ კანონპროექტის მიხედვით შემოთავაზებული ვარიანტი<sup>49</sup>.

სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორების ფუნქციების გაუმიჯნაობის შედეგად მართვის ის სისტემა, რომელიც გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ან კანონპროექტის ტექსტის შესაბამისად დაემსგავსა მართვის ამერიკულ მოდელს, თუმცა გაცილებით გონივრული იქნებოდა მართვის გერმანული მოდელის გამოყენება. ეს მოდელი დუალისტურია. შესაბამისად, სავალდებულოა რომ სააქციო საზოგადოებას ჰყავდეს როგორც გამგეობა, ასევე სამეთვალყურეო საბჭო. დუალისტური მოდელის პირობებში საზოგადოების გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო ერთმანეთთან იმყოფებიან ჰორიზონტალური დამოკიდებულებაში. ასეთ შემთხვევაში საბჭო და გამგეობა კოორდინირებულად, თანამშრომლობის გზით ახორციელებენ საზოგადოების მართვას, ხოლო საბჭო და გამგეობის ფუნქციები მკვეთრად არის გამიჯნული ერთმანეთისგან. სააქციო საზოგადოებათა შესახებ გერმანიის კანონის 111-ე პარაგრაფის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს აქვს გამგეობის კონტროლის ფუნქცია. ამ მიზნით მას შეუძლია მოითხოვოს საზოგადოებაში აუდიტის ჩატარება, გამოითხოვოს ბუღალტრული ჩანაწერები და საზოგადოების სხვა საქმიანი დოკუმენტაცია. საზოგადოების მართვის უფლებამოსილება არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას საჭიროებს სააქციო საზოგადოების დირექტორების მიერ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილებების აღსრულება<sup>50</sup>. იმ შემთხვევაში თუ სამეთვალყურეო საბჭო უარს იტყვის დირექტორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე დირექტორებს აქვთ უფლება რომ მოითხოვონ საერთო კრების მოწვევა, რათა გადაწყვეტილება შესრულდეს თუ არა გამგეობის მიერ

<sup>49</sup> განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, 13;

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

<sup>50</sup> გერმანიის კანონი „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“, 1965, 111-ე პარაგრაფი; [https://www.gesetze-im-internet.de/aktg/\\_111.html](https://www.gesetze-im-internet.de/aktg/_111.html) ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

მიღებული გადაწყვეტილება მიიღოს საერთო კრებამ<sup>51</sup>. გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს კოორდინირებული მოქმედებების თაობაზე მიუთითებს გერმანიის კორპორატიული მართვის კოდექსი. კოდექსის 3.1 მუხლის მიხედვით ეს ორგანოები მჭიდროდ თანამშრომლობენ ორგანიზაციის სასარგებლოდ. საზოგადოების განვითარების სტრატეგიის იმპლემენტაციას გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებენ ერთობლივად, ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტრანზაქციების განხორციელება საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით<sup>52</sup>.

იმ შემთხვევაში თუ სამომავლოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში დამკვიდრდება დუალისტური მართვის სისტემა როგორც ეს განსაზღვრულია გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის მიხედვით, მკაფიოდ გაიმიჯნება ერთმანეთისგან დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები. ამასთან აღარ იარსებებს რისკი იმისა რომ საზოგადოების მართვის ძალაუფლება მთლიანად დირექტორების ხელში მოექცეს, რაც საზოგადოების აქციონერების ინტერესებს რისკის ქვეშ აყენებს.

## 2.4. დირექტორის პერსონალური პასუხისმგებლობა, როგორც ფუნქციონალური ავტონომიის წინაპირობა

დირექტორი პერსონალურად აგებს პასუხს იმ შემთხვევაში თუ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად საწარმოს მიადგება ზიანი. საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ გათვალისწინებულია ის შეზღუდვები, რომელებიც მიზნად ისახავს ინტერესთა კონფლიქტის აცილებას საზოგადოებასა და დირექტორს შორის. მაგალითად, დირექტორს ეკრძალება ის სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც ეწევა

<sup>51</sup> იქვე, 111-ე პარაგრაფი

<sup>52</sup> German Corporate Governance Code, 2013, 12;

<https://www.fsa.go.jp/en/refer/councils/corporategovernance/reference/german.pdf> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

საზოგადოება<sup>53</sup>. ამასთან, დირექტორებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებების საქმიანობაში, როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორებმა ან დირექტორებმა. ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა აქციონერთა ან პარტნიორთა კრების თანხმობა. იმ შემთხვევაში თუ დირექტორი არ დაემორჩილება კანონის აღნიშნულ მოთხოვნებს იგი პერსონალურად აგებს პასუხს საზოგადოებისთვის მიყენებული ზარალისათვის<sup>54</sup>. დირექტორის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი მოწესრიგებულია „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის პროექტის 205-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული ჩანაწერის პირველი პუნქტის მიხედვით დირექტორები საზოგადოებას მართავენ საკუთარი პასუხისმგებლობით, რაც მათი ფუნქციონალური ავტონომიის უმთავრესი წინაპირობაა<sup>55</sup>. დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის გამოხატულებაა ზრუნვისა და კეთილსინდისიერების მოვალეობები, რომლების დარღვევის შემთხვევაში დირექტორი პასუხს აგებს პერსონალურად<sup>56</sup>.

---

<sup>53</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 117

<sup>54</sup> იქვე, 117

<sup>55</sup> ჯუღელი, გ., გიგუაშვილი, გ., განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2021, 248

<sup>56</sup> ბაქაძური, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ., ჯუღელი, გ., საკორპორაციო სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019, 226

## თავი 3. დირექტორის ვალდებულებები

### 3.1. დირექტორის ფიდუციური მოვალეობები

დირექტორის ფიდუციური ვალდებულებები გამომდინარეობს იქიდან რომ იგი არის ფუნქციონალური ავტონომიის მქონე ორგანო, რომელიც საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს საწარმოს მართვის თაობაზე. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით დირექტორს ეკისრება როგორც ზრუნვის, ასევე კეთილსინდისიერების ვალდებულება იმ ორგანიზაციის აქციონერების წინაშე, რომელსაც იგი მართავს. მიუხედავად იმისა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ტექსტში არააფერია ნათქვამი ფიდუციური მოვალეობების თაობაზე, ისინი ნაგულისხმევია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9.6 მუხლის მიხედვით საზოგადოების დირექტორები საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად. აქედან გამომდინარეობს კეთილსინდისიერების მოვალეობა. ამავე მუხლის ტექსტში კანონმდებელი განმარტავს რომ კეთილსინდისიერების ვალდებულება მოიცავს ზრუნვის ვალდებულებასაც. აქედან გამომდინარე აღნიშნული ჩანაწერი არ განასხვავებს ამ ორ ვალდებულებას ერთმანეთისგან. ზრუნვის ვალდებულების მიხედვით დირექტორმა საზოგადოების მართვის პროცესში უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებსაც მიიღებდა იმავე ვითარებაში მყოფი საღად მოაზროვნე ადამიანი. იგი უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის. ამ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში დირექტორი პასუხისმგებელია საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ<sup>57</sup>. აქედან გამომდინარე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6-ე მუხლი მიუთითებს როგორც დირექტორის ფიდუციურ მოვალეობებზე, ასევე ამ მავალეობების დარღვევის შემთხვევაში მათი პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ კანონმდებელმა მიუთითა საშუალო სტატისტიკური ადამიანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, გონივრულობის იმ სტანდარტზე რომელსაც რიგითი ადამიანი უნდა აკმაყოფილებდეს. ეს არ გამორიცხავს

<sup>57</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 1997, 9.6-ე მუხლი

დირექტორის მიერ შეცდომების დაშვების შესაძლებლობას საზოგადოების მართვის პროცესში. დირექტორი არ არის ვალდებული მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ყოველთვის იქნება საუკეთესო საზოგადოებისთვის. მას მხოლოდ გონივრული ვარაუდის ვალდებულება აკისრია<sup>58</sup>. აქედან გამომდინარე საზოგადოებისთვის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიყენებული ზიანი ყოველთვის არ ქმნის დირექტორის პერსონალური პასუხისმგებლობის საფუძველს. მეორე მხრივ სასამართლომ უნდა შეაფასოს არამართოს მოქმედება თუ არა დირექტორი კეთილსინდისიერად, არამედ ისიც რამდენად შეეძლო მას ევარაუდა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნებოდა ზიანის მომტანი საზოგადოებისთვის. ფიდუციური მოვალეობების განმარტების სირთულე იმაში მდგომარეობს რომ მთლიანად სასამართლო პრაქტიკაზეა დამოკიდებული მათი დარღვევის ფაქტების შეფასება. მიუხედავად იმისა რომ მრავლად არსებობს სამართლის ლიტერატურა აღნიშნული საკითხის თაობაზე, სამართლის ნორმები არ მოიცავს მითითებებს იმის შესახებ რას გულისხმობს ზრუნვის ან კეთილსინდისიერების ვალდებულება. ამ თვალსაზრისით მითითებებს არ მოიცავს არც დელავერის შტატის საკორპორაციო კანონის 141-ე პარაგრაფი, რომლის მიხედვით დირექტორთა ბორდის წევრი უნდა ასრულებდეს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მას მიაწოდეს კორპორაციის თანამშრომლებმა. ეს ინფორმაცია მოიცავს სხვადასხვა მოსაზრებებს, ანგარიშებს, ან განცხადებებს, რომლებიც მას მიაწოდეს კომპანიის თანამშრომლებმა ან საზოგადოების მიერ დაქირავებულმა მესამე პირებმა<sup>59</sup>. ამ ჩანაწერიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები: 1. კეთილსინდისიერების მოვალეობა მოიცავს ზრუნვის და ინფორმირებულობის მოვალეობებს; 2. დირექტორს აკისრია ინფორმირებულობის ვალდებულება, რაც ნიშნავს რომ მან უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა კანონიერი საშუალება იმისათვის, რომ მოიპოვოს ინფორმაცია, რომელსაც დააფუძნებს საკუთარ გადაწყვეტილებას. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ერთერთ

---

<sup>58</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n78-mnishvnelovani-ganmarteba.pdf> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

<sup>59</sup> General corporation law, 2016, 141; <https://statecodesfiles.justia.com/delaware/2016/title-8/title-corporations/title-corporations.pdf> xelmisawvdomi 06.07.2021 მდგომარეობით

ხარვეზად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ იგი არ მიუთითებს ინფორმირებულობის მოვალეობის თაობაზე, რომელიც ზრუნვის ვალდებულების ერთერთ ასპექტს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკის თანახმად ინფორმირებულობის მოვალეობა ისევე წარმოადგენს ფიდუციური ვალდებულებების შემადგენელ ნაწილს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, როგორც ა.შ.შ-ის კანონმდებლობის მიხედვით. მაგალითად, ერთერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ „*დირექტორები მოქმედებენ კეთილსინდისიერებისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვით კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე*“<sup>60</sup>. ინფორმირებულობის პრინციპის თაობაზე დუმს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლიც, სადაც კანონმდებელი კვლავ უსვავს ხაზს ფიდუციური ვალდებულებების არსებობას. თუმცა აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით დირექტორებს აკისრიათ გულმოდგინედ მოქმედების ვალდებულება, რაც მოიაზრებს ინფორმირებულობის ვალდებულებასაც.

### 3.2. დირექტორის კეთილსინდისიერება

როგორც უკვე ავღნიშნეთ, დირექტორის კეთილსინდისიერება მოიცავს როგორც გულმოდგინების, ასევე ზრუნვის ვალდებულებას. დირექტორის კეთილსინდისიერების ვალდებულების განმარტების კუთხით წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დირექტორები უნდა ზრუნავდნენ საზოგადოების ინტერესებზე და უძღვებოდნენ საზოგადოების მართვას ისე როგორც ანალოგიურ პირობებში მყოფი ხალმძღვანელები<sup>61</sup>. კანონმდებელი გვთავაზობს საკითხის ახლებურ მოწესრიგებას და ნაცვლად საშუალო სტატისტიკური ადამიანისა მიუთითებს ანალოგიურ პირობებში მყოფ ხელმძღვანელზე. ამასთან, შემოთავაზებული

<sup>60</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-559-2019

<sup>61</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, თბ., 2021, 51-ე მუხლი

განმარტების მიხედვით კეთილსინდისიერება ასევე გულისხმობს გულისხმიერებასაც. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულება მოიცავს როგორც ზრუნვის, ასევე გულისხმიერების მოვალეობებს. ამასთან, ხელმძღვანელი უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით რომ მისი მოქმედება ეკონომიკურად ყველაზე სასარგებლოა საზოგადოებისთვის. კანონის ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით საზოგადოების ხელმძღვანელები უნდა მოქმედებდნენ ისე როგორც ეს ხელსაყრელი იქნება საზოგადოებისთვის<sup>62</sup>. მიუხედავად იმისა რომ ეს ჩანაწერი გულისხმობს ეკონომიკურად მომგებიანი გადაწყვეტილებების მიღებას, კანონპროექტის შემოთავაზებული ვარიანტი უფრო ზუსტია და მკაფიოდ გადმოსცემს ნორმის შინაარსს. კანონპროექტის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის კომენტარის მიხედვით ინფორმირებულობის მოვალეობა შეადგენს კეთილსინდისიერების ვალდებულების ნაწილს<sup>63</sup>. მიუხედავად ამისა კანონმდებელი უშუალოდ კანონის ტექსტში არ მიუთითებს ინფორმირებულობის ვალდებულების თაობაზე.

### 3.2.1. გულმოდგინების ვალდებულება

გულმოდგინების ვალდებულება იგივეა, რაც ზრუნვის ვალდებულება (duty of care). ეს ტერმინები სინონიმური მნიშვნელობისაა და არ განსხვავდება ერთმანეთისგან<sup>64</sup>. რაც შეეხება ინფორმირებულობის მოვალეობას, იგი წარმოადგენს ზრუნვის მოვალეობის ერთერთ ასპექტს. მწირია ქართული სასამართლო პრაქტიკა ზრუნვის მოვალეობის თაობაზე, თუმცა ამ მიმართულებით რამოდენიმე ნაბიჯი გადაიდგა წინ. ერთერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ზრუნვის ვალდებულება მოიცავს არამარტო გონივრული განსჯის შედეგად ეკონომიკურად მომგებიანი გადაწყვეტილებების მიღებას, არამედ

<sup>62</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 1997, 9.6-ე მუხლი

<sup>63</sup> *ჯუღელი, გ., გიგუაშვილი, გ.*, განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2021, 73

<sup>64</sup> *ბურდული, ი.*, ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისათვის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“, #2, 2019

არამართლზომიერი ქმედებების დაუშვებლობასაც, რამაც შეიძლება ეკონომიკური ზიანი მიაყენოს საზოგადოებას. ერთერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებების შედეგად საზოგადოებას დაუგროვდა დავალიანება საგადასახადო ორგანოების მიმართ, რის გამოც მან პასუხი უნდა აგოს საზოგადოების წინაშე<sup>65</sup>. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ ძირითადად ზრუნვის მოვალეობა გამოიხატება ისეთ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს მოგების მიღებას. ამასთან, საზოგადოების დირექტორი ინფორმირებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებისას იმ ზომით რა ზომითაც მას ეს საკმარისად მიაჩნდა. ზრუნვის მოვალეობა არ გამორიცხავს საზოგადოების დირექტორის მიერ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებას. მთავარია დირექტორი მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საუკეთესოა საზოგადოების ინტერესებისთვის<sup>66</sup>. თუმცა სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობაში ადგილი აქვს ზრუნვის მოვალეობის მცდარ ინტერპრეტაციას. კერძოდ, სასამართლო მიუთითებს იმ დოზით ინფორმირების შესახებ, რაც დირექტორის აზრით საკმარისია საზოგადოების მართვის პროცესში გადაწყვეტილების მისაღებად, მაშინ როდესაც სასამართლომ უნდა შეაფასოს რამდენად გამოიყენა დირექტორმა მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ მიეღო ამომწურავი ინფორმაცია, რომელსაც დააფუძნა მისი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში მოახდინა ინფორმირებულობის მოვალეობის ნორმატიული შინაარსის მცდარი ინტერპრეტაცია.

ზრუნვის მოვალეობის შინაარსი ერთმანეთის მსგავსია როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით. ა.შ.შ-ს კორპორაციული მართვის პრინციპების მიხედვით ზრუნვის მოვალეობა ავალდებულებს დირექტორს მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მისი ვარაუდით ყველაზე ხელსაყრელია კომპანიისთვის. შედარებისთვის „მეწარმეთა

<sup>65</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014

<sup>66</sup> თოდუა, უ., მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 218 [http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge\\_metsarmeta\\_shesaxeb\\_kanoni\\_sasamartlo\\_gadackvetilebebshi.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_metsarmeta_shesaxeb_kanoni_sasamartlo_gadackvetilebebshi.pdf) ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მიუთითებს ყველაზე ხელსაყრელი შედეგების თაობაზე. ამ თვალსაზრისით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განსაზღვრული რეგულაცია მსგავსია იმ რეგულირებისა, რომელიც მოცემულია ა.შ.შ-ის კორპორაციული მართვის პრინციპებში. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მსგავსად ა.შ.შ-ის კორპორაციული მართვის პრინციპებიც შეიცავს მითითებას იმის თაობაზე რომ დირექტორმა უნდა იმოქმედოს ისე როგორც იმოქმედებდა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სადად მოაზროვნე ადამიანი<sup>67</sup>. ნიშანდობლივია რომ ა.შ.შ-ს კორპორაციული მართვის პრინციპები მიუთითებს ინფორმირებულობის თაობაზე, რის შესახებაც დუმს როგორც მეწარმეთა შესახებ კანონის მოქმედი რედაქცია ასევე ახალი კანონპროექტი. კერძოდ, კორპორაციული მართვის პრინციპების მიხედვით დირექტორი უნდა იყოს ინფორმირებული სამეწარმეო გადაწყვეტილების საგანთან დაკავშირებით<sup>68</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ მას უნდა ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია იმ რისკების თაობაზე რომლებიც შეიძლება წარმოიშვას გადაწყვეტილების მიღების შედეგად<sup>69</sup>. იმ შემთხვევაში თუ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განისაზღვრება ნორმა რომლის თანახმად დადგინდება დირექტორის ინფორმირებულობის სტანდარტი, თავიდან იქნება აცილებული ინფორმირებულობის მოვალეობის ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებების შესაძლებლობა. განისაზღვრება როდის აქვს ადგილი დირექტორის ფიდუციური მოვალეობის დადგენას და როდის არა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მწირია საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ფიდუციური მოვალეობების დადგენის თაობაზე. აქედან გამომდინარე სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს იმ გადაწყვეტილებების მიხედვით სადაც განსაზღვრულია დირექტორის ინფორმირებულობის სტანდარტი. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დადგინდეს დირექტორის ინფორმირებულობის სტანდარტი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ეს ნიშნავს იმის განსაზღვრას, რომელ ინფორმაციას შეიძლება დაეყრდნოს დირექტორი და რომელს არა. ბუნებრივია არასარწმუნო ცნობები და იმ ადამიანების

<sup>67</sup> ბაქაქური, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ., ჯუღელი, გ., საკორპორაციო სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019, 82

<sup>68</sup> იქვე, 83

<sup>69</sup> Principles of Corporate Governance, 2016, <https://corpgov.law.harvard.edu/2016/09/08/principles-of-corporate-governance/> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

მოსაზრებები რომლებიც არ წარმოადგენენ სააქციო საზოგადოების თანამშრომლებს, ან მის მიერ დაქირავებულ კონსულტანტებს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სამეწარმეო გადაწყვეტილებების მიღებას. ინფორმაცია რომელსაც უნდა დაეფუძნოს სამეწარმეო გადაწყვეტილებები სრული და რელევანტური უნდა იყოს<sup>70</sup>.

ზრუნვის მოვალეობას გამგეობის წევრებს აკისრებს გერმანიის კანონიც სააქციო საზოგადოებების შესახებ. აღნიშნული კანონის 116-ე პარაგრაფის მიხედვით ზრუნვის მოვალეობა გულისხმობს გამგეობის წევრების მოვალეობას არ გაამყდონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია<sup>71</sup>. ზრუნვის მოვალეობის თაობაზე საყურადღებოა გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც გაანთავისუფლა პასუხისმგებლობისგან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, როდესაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ ემთხვეოდა საზოგადოების აქციონერების ინტერესებს. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადოების მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს აქციონერების ინტერესებს, თუმცა შეესაბამებოდეს საზოგადოების ინტერესებს და აქედან გამომდინარე არ წარმოადგენდეს ზრუნვის მოვალეობის დარღვევას<sup>72</sup>.

გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით ზრუნვის მოვალეობა გულისხმობს, რომ საზოგადოების მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილება მისი საუკეთესო ინტერესებით უნდა იყოს ნაკარნახევი. კომპანიის საუკეთესო ინტერესები კი არ გულისხმობს მხოლოდ კრედიტორების ინტერესებს. აღნიშნულ ცნებაში აგრეთვე მოიაზრება კომპანიის მომხმარებლების, კრედიტორების და იმ პირების ინტერესები, რომლებსაც აქვთ საქმიანი ურთიერთობა საზოგადოებასთან<sup>73</sup>. ამასთან დირექტორი უნდა მოქმედებდეს ისე როგორც იმოქმედებდა მის ადგილზე მყოფი გონივრულად

<sup>70</sup> GUIDING PRINCIPLES OF CORPORATE GOVERNANCE, the university of tennessey, 2016; <https://dl.theiia.org/Documents/Guiding-Principles-of-Corporate-Governance.pdf> ხელმისაწვდომი 06. 07.2021 მდგომარეობით

<sup>71</sup> გერმანიის კანონი „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“, 1965, 116-ე პარაგრაფი; [https://www.gesetze-im-internet.de/aktg/\\_116.html](https://www.gesetze-im-internet.de/aktg/_116.html) ხელმისაწვდომი 06. 07.2021 მდგომარეობით

<sup>72</sup> გერმანიის მართლმსაჯულების სასამართლოს 2008 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე BGH, 01.12.2008 - II ZR 102/07; <https://openjur.de/u/73556.html> ხელმისაწვდომი 06. 07.2021 მდგომარეობით

<sup>73</sup> *Maddison, K. Duties and liabilities of company directors*

*Under German and Estonian law: a comparative analysis, RGSL RESEARCH PAPERS; 2012, 17;*

<https://www.rgs.edu.lv/uploads/research-papers-list/16/7-karin-madison-final.pdf> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

მოაზროვნე ადამიანი. იგულისხმება არა ზოგადად საშუალო სტატისტიკური პირი არამედ გამგეობის წევრის ადგილას მყოფი პიროვნება. აქედან გამომდინარე სასამართლომ უნდა შეაფასოს რამდენად შეესაბამება დირექტორის ქცევა იმ ადამიანის ქცევას, რომელიც დაკავებულია საზოგადოების მართვით და მის მართვას ახორციელებს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე<sup>74</sup>.

### 3.2.2. ერთგულების ვალდებულება

ერთგულების ვალდებულება გათვალისწინებულია როგორც საქართველოს, ასევე გერმანიის და ა.შ.შ-ის საკორპორაციო სამართლის ნორმების მიხედვით. ნიშანდობლივია რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ისევე როგორც გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის თანახმად ერთგულების ვალდებულება ვრცელდება როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, ასევე დირექტორების მიმართ<sup>75</sup>. ერთგულების მოვალეობა გათვალისწინებულია სააქციო საზოგადოებათა შესახებ გერმანიის კანონის 93-ე პარაგრაფის მიხედვით. გერმანიის სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის თანახმად ერთგულების მოვალეობა მოიცავს შემდეგი ტიპის მოქმედებებს: 1. საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება საზოგადოების სასარგებლოდ; 2. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებაზე ზრუნვა; 3. კორპორაციის რესურსების გამოყენების დაუშვებლობა საკუთარი ინტერესების შესაბამისად; 4. კერძო მიზნებისათვის აღნიშნული რესურსების გამოყენებაზე უარის თქმა; 5. მესამე პირებისგან თანამდებობრივი სარგებელის მიღების დაუშვებლობა<sup>76</sup>. ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარე გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით აკრძალულია რამოდენიმე სააქციო საზოგადოების გამგეობის წევრობა. ასევე დაუშვებელია ისეთი

<sup>74</sup> Baums, T., Personal Liabilities of Company Directors in German Law, University of Osnabrueck, 2014,9; <https://core.ac.uk/download/pdf/14504645.pdf> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

<sup>75</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 51

<sup>76</sup> იქვე, 139

ტრანზაქციების განხორციელება, რომლებიც არ ემსახურება კომპანიის ინტერესებს და პირდაპირ ან ირიბად მიზნად ისახავს დირექტორის ან მესამე პირის ინტერესების დაკმაყოფილებას<sup>77</sup>. გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით დაუშვებელია, რომ დირექტორი იყოს კონკურენციაში მის მიერ მართულ საზოგადოებასთან პირდაპირ ან ირიბად, მისი ახლო ნათესავების მეშვეობით<sup>78</sup>. მაგალითად დაუშვებელია რომ გამგეობის წევრი იყოს პირი, რომელიც კონკურენტი კომპანიის დირექტორის ახლო ნათესავია და გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე. ასეთი ინტერესთა კონფლიქტი მოიაზრება ერთგულების მოვალეობის დარღვევად და დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველია.

გერმანიის კანონმდებლობის მსგავსად ამერიკის შეერთებული შტატების საკორპორაციო სამართლის ნორმების მიხედვით ერთგულების მოვალეობის დარღვევას ადგილი აქვს მაშინ როდესაც დირექტორი საზოგადოების ინტერესების ნაცვლად მოქმედებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ერთგულების მოვალეობის დარღვევის შემთხვევა უნდა დასტურდებოდეს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით. ეს მტკიცებულებები უნდა ადასტურებდნენ იმ გარემოებას, რომ დირექტორმა მის მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების შედეგად მიიღო მატერიალური სარგებელი. ამავე გადაწყვეტილების ფარგლებში ამერიკის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ერთგულების ვალდებულების დარღვევას არ აქვს ადგილი იმ შემთხვევაში თუ დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით<sup>79</sup>. სხვა გადაწყვეტილებაში ამერიკის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობიდან გამომდინარე დირექტორი უნდა მოქმედებდეს კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად დირექტორი მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ მას კეთილსინდისიერად სჯეროდა რომ

---

<sup>77</sup> *Maddison, K. Duties and liabilities of company directors*

*Under German and Estonian law: a comparative analysis, RGS L RESEARCH PAPERS; 2012, 21*

<sup>78</sup> *Ibid, 22*

<sup>79</sup> *Cede & Co. v. Technicolor, Inc. Delaware Supreme Court., 1993;*

<https://law.justia.com/cases/delaware/supreme-court/1994/634-a-2d-345-1.html> ხელმისაწვდომი 06.07.2021

მდგომარეობით

გადაწყვეტილება რომელიმე მიიღო ინფორმირებულობის მოთხოვნის დაცვის იქნებოდა კომპანიის ინტერესების განხორციელებისთვის საუკეთესო<sup>80</sup>.

### 3.3. აღმასრულებელ პირთა სამეწარმეო გადაწყვეტილებათა განსჯის წესები „Business Judgement Rule”

დაირღვა თუ არა დირექტორის მიერ ფიდუციური მოვალეობები უნდა შეფასდეს სამეწარმეო გადაწყვეტილებების განსჯის წესების შესაბამისად. სამეწარმეო გადაწყვეტილებების განსჯის წესები არის ა.შ.შ-ის საკორპორაციო სამართლის პირმშო. იგი წარმოიშვა საკორპორაციო სამართლის კუთხით შექმნილი სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგად. სამეწარმეო გადაწყვეტილების განსჯის წესები წარმოადგენს გონივრულობის სტანდარტს, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ უნდა შეაფასოს ჰქონდა თუ არა ადგილი დირექტორის მიერ ზრუნვის, ან კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევას. Business judgment rule არ წარმოადგენს სამეწარმეო გადაწყვეტილების შეფასების წესს. აქედან გამომდინარე სასამართლო არ უნდა გაცდეს დირექტორის მიერ ფიდუციური და ზრუნვის მოვალეობების დარღვევის შეფასების საკითხს. სასამართლოს არ აქვს უფლება შეაფასოს რამდენად მომგებიანი ან წამგებიანი იყო დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომერციული თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ სამეწარმეო განსჯის წესების მიხედვით ადგილი არ ჰქონია ზრუნვის და ერთგულების მოვალეობის დარღვევას Business judgment rule-ის მიხედვით არ იარსებებს დირექტორის/დირექტორების კეროსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ეს დასკვნა გამომდინარეობს დელავერის შტატის სასამართლოს გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან, სადაც აღნიშნულია, რომ სამეწარმეო განსჯის წესები მოქმედებს როგორც პროცედურული და მატერიალური სამართლის წყარო. მტკიცების ტვირთი სამეწარმეო განსჯის წესების დარღვევის შემთხვევაში აკისრია მოსარჩელე მხარეს. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ

<sup>80</sup>Aronson v. Lewis, Delaware Supreme Court, 1984; <https://law.justia.com/cases/delaware/supreme-court/1984/473-a-2d-805-4.html> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

აქციონერი სარჩელით მიმართავს სასამართლოს დირექტორის მიერ ფიდუციური მოვალეობების დარღვევის საფუძველზე, მან უნდა დაასაბუთოს, რომ დარღვეული იქნა სამეწარმეო განსჯის წესები დირექტორის მიერ. იმ შემთხვევაში თუ აქციონერი გადალახავს სამეწარმეო განსჯის წესებით განსაზღვრულ მტკიცების ტვირთს შემდგომში მოხდება მტკიცების ტვირთის შებრუნება. დირექტორებს მოუწევთ იმის მტკიცება, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ ეწინააღმდეგებოდა ფიდუციურ მოვალეობებს<sup>81</sup>.

სამეწარმეო გადაწყვეტილების განსჯის წესები განსაზღვრული სააქციო საზოგადოებების შესახებ გერმანიის კანონის 93.1 მუხლის მიხედვით. აღნიშნული მუხლის თანახმად სამეწარმეო გადაწყვეტილებების განსჯის წესები გამოიყენება საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს არსებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად<sup>82</sup>. 2005 წლის 22 ნოემბრს კინოველტის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით გერმანიის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ დირექტორი მოქმედებდა რწმენით, მისი გადაწყვეტილება იყო საუკეთესო კომპანიის ინტერესებისათვის და იგი იყო ინფორმირებული საკმარისად რათა შეეფასებინა გადაწყვეტილების სავარაუდო შედეგებთან დაკავშირებული რისკები, მაშინ ადგილი არ აქვს business judgment rule-ს დარღვევას<sup>83</sup>. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ დირექტორების მხრიდან არ აქვს ადგილი სამეწარმეო განსჯის წესების დარღვევას იმ შემთხვევაში თუ დირექტორი მოქმედებდა საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში<sup>84</sup>.

სამეწარმეო გადაწყვეტილების განსჯის წესები მოქმედებს საქართველოს საკორპორაციო სამართალშიც. აღნიშნული წესების გამოყენების შესახებ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას, თუმცა მისი ნორმების მიხედვით შესაძლებელია business judgment rule-ის გამოყენება. ერთერთ

---

<sup>81</sup> *Holland, R.*, DELAWARE DIRECTORS' FIDUCIARY DUTIES: THE FOCUS ON LOYALTY, U. OF PENNSYLVANIA JOURNAL OF BUSINESS LAW , Vol. 11:3, 2009; 8 <https://scholarship.law.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1334&context=jbl> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

<sup>82</sup> *Maddison, K.* Duties and liabilities of company directors Under German and Estonian law: a comparative analysis, RGSL RESEARCH PAPERS; 2012, 35

<sup>83</sup> BGH, judgment of November 22, 2005 - 1 StR 571/04; LG Munich I; p. 35; <https://lexetius.com/2005,2797>

<sup>84</sup> <https://www.rgsl.edu.lv/uploads/research-papers-list/16/7-karin-madisson-final.pdf> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ „ფიდუციური ვალდებულებები (ერთგულება და გულისხმიერება (ზრუნვა) მოითხოვს ხელმძღვანელისგან (დირექტორისგან), არ იმოქმედოს ინტერესთა კონფლიქტის დროს საწარმოს ინტერესების საპირისპიროდ, ასევე არ განახორციელოს ქმედებები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება საწარმოს ინტერესებს (მოგების მაქსიმიზაციას). დამოუკიდებელი (ინტერესთა კონფლიქტის გარეშე) მოქმედი დირექტორის ქმედების (სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღებისას) შეფასებისას გამოიყენება ე.წ. „მართებული სამეწარმეო გადაწყვეტილების პრეზუმფცია“ - *Business Judgment Rule*“<sup>85</sup>. სხვა გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „ბიზნეს გადაწყვეტილებების მართებულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე ხელმძღვანელი მოქმედებს კეთილგონიერების ფარგლებში, რწმენით რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან“<sup>86</sup>. შესაბამისად მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელე მხარეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 102-ე მუხლის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე დაძლევს სამეწარმეო გადაწყვეტილებების განსჯის წესების მიხედვით დადგენილ მტკიცების ტვირთს მოხდება მისი გადაკისრება მოპასუხეზე, რაც სამართლის თეორიაში ცნობილია მტკიცების ტვირთის შებრუნების სახელით<sup>87</sup>. შესაბამისად, ისევე როგორც გერმანულ სამართალში და ა.შ.შ-ის საკორპორაციო სამართალში, საქართველოს კანონმდებლობაშიც მოქმედებს მტკიცების ტვირთის შებრუნების წესი.

---

<sup>85</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-687-658-2016

<sup>86</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1158-1104-2014

<sup>87</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-687-658-2016

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი პროექტის 53-ე მუხლი წარმოადგენს Business Judgement Rule-ს კოდიფიცირების მცდელობას. კანონპროექტის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით დავიწროვებულია ხელმძღვანელის მტკიცების ტვირთის შინაარსი<sup>88</sup>. კანონპროექტის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით საზოგადოების ხელმძღვანელი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა საზოგადოებას მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილების შედეგად, იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილების მიღების დროს ხელმძღვანელები იყვნენ ინფორმირებულები და მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვათა ზეგავლენის და ინტერესთა კონფლიქტის გარეშე. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი გამოყოფს რამოდენიმე გარემოებას, რომლების კუმულატიურად არსებობის შემთხვევაშიც დირექტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა სამეწარმეო განსჯის წესების დარღვევის გამო. ესენია შემდეგი ფაქტორები: კეთილსინდისიერად მოქმედება საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა; ინფორმირებულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ სახეზეა ყველა ეს გარემოება სასამართლომ არ უნდა დააკისროს დირექტორს პასუხისმგებლობა სამეწარმეო განსჯის წესების დარღვევის გამო.

---

<sup>88</sup> *ჯუღელი, გ., გიგუაშვილი, გ.,* განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2021, 75

## თავი 4. დირექტორის პიროვნული უნარ-ჩვევები

იმისათვის რომ ეფექტიანად მართოს სააქციო საზოგადოება დირექტორს ესაჭიროება სპეციფიური უნარები. დირექტორის თვისებები უნდა გავმიჯნოთ მისი უნარებისგან. კეთილსინდისიერება და შრომისმოყვარეობა დირექტორის თვისებებია. კეთილსინდისიერების გარეშე დირექტორი ვერ დაიცავს ზრუნვისა გულმოდგინების მოვალეობებს, რაც გახდება მისი სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი, ხოლო შესაბამისი უნარების გარეშე იგი ვერ შეძლებს განახორციელოს ორგანიზაციის ეფექტიანი მართვა. ეს უნარები სოციალური უნარებია და სამართლის ლიტერატურაში ცნობილია soft skills-ის სახელწოდებით<sup>89</sup>. სამართალში ეს ტერმინი დამკვიდრდა სოციალური მეცნიერებებიდან, მათ შორის ბიზნესის მართვიდან და ფსიქოლოგიიდან სადაც არაერთი თეორიაა ჩამოყალიბებული ადამიანის სოციალური უნარების შესახებ<sup>90</sup>. ნიშანდობლივია რომ დირექტორების პიროვნული უნარები სამართლის ლიტერატურაში სავალდებულოდ მიიჩნევა და ერთერთი მოსაზრების მიხედვით წარმოადგენს ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ ნაწილს (duty of skill and knowledge)<sup>91</sup>

ერთერთი სოციალური უნარი, რომლის ქონაც დირექტორს მოეთხოვება ლიდერობაა. დირექტორს უნდა შეეძლოს კრიზისულ ვითარებებში თავის თავზე აიღოს გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული რისკები, იყოს თავდაჯერებული და შთააგონებდეს თანამშრომლებს წარმატების რწმენას<sup>92</sup>. დირექტორის პერსონალური უნარების შეფასების თვალსაზრისით საინტერესო კვლევა ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2020 წელს როდესაც ქვეყნის სხვადასხვა შტატში 1000 კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა ბორდი გამოიკითხა. ლიდერობა დასახელდა

---

<sup>89</sup> დოლიძე, დ., დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლები საზოგადოებაში, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო № 46 2016, 5;

<https://lawandworld.ge/wp-content/uploads/2020/03/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-2.pdf> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

<sup>90</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 92

<sup>91</sup> ბაქაქური, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ., ჯუღელი, გ., საკორპორაციო სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019, 94

<sup>92</sup> იქვე, 94

დირექტორების განსაკუთრებით მნიშვნელოვან უნარად. გამოკითხული დირექტორების 100%-ის აზრით კორპორაციის მართვის პროცესში ლიდერული თვისებები ყველაზე მნიშვნელოვანია, იევე როგორც ფინანსური ოპერაციები წარმოების გამოცდილება<sup>93</sup>. ავსტრალიის სახელმძღვანელოს მიხედვით არსებობს დირექტორის უნარების ჩამონათვალი, რომელსაც იგი უნდა აკმაყოფილებდეს. ლიდერული თვისებები ამ ჩამონათვალის შემადგენელი ნაწილია. სახელმძღვანელოს მიხედვით კორპორაციული მართვისთვის საჭირო უნარების მატრიცა ორგანიზაციის მიერ უნდა იქნას შემუშავებული იმისდა მიხედვით როგორია კომპანიის საქმიანობის პროფილი. ეს იმას ნიშნავს რომ სხვადასხვა სფეროში მოქმედ კომპანიებს ესაჭიროებათ სხვადასხვა უნარჩვევების მქონე დირექტორები. მაგალითად, ერთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების კარგი ცოდნა, მეორე შემთხვევაში კი უპირატესობა ენიჭება გაყიდვების სფეროში მუშაობის გამოცდილებას<sup>94</sup>. კომპანია კოკა კოლას საქმიანობა გამოიხატება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ტრანზაქციების განხორციელებაში. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიის ბორდში ისეთი დირექტორების მუშაობას, რომლებსაც აქვთ ფინანსური ოპერაციების მართვის კარგი გამოცდილება და დირექტორად მუშაობის გამოცდილება იმ ქვეყანაში სადაც ოპერირებს კოკა კოლას რეგიონალური ოფისი. ამასთან კომპანია კოკა კოლა ოპერირებს მსოფლიოს 200 ქვეყანაში. შესაბამისად კომპანიის დირექტორები არიან სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და კულტურული კუთნილების მქონე პირები. კომპანიის საქმიანობა გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნებში პროდუქციის წარმოებაში. აქედან გამომდინარე კომპანიის მენეჯერები კარგად უნდა ერკვეოდნენ საწარმოო პროცესში<sup>95</sup>.

ერთერთი სოციალური უნარი რომელიც უნდა გამოავლინოს დირექტორმა არის კომუნიკაბელურობა. მას მუდმივად უნდა ჰქონდეს კომუნიკაცია საზოგადოების

---

<sup>93</sup> *Mishra, S.*, Director Skills: Diversity of Thought and Experience in the Boardroom, 2018; <https://corpgov.law.harvard.edu/2018/10/10/director-skills-diversity-of-thought-and-experience-in-the-boardroom/> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

<sup>94</sup> Good Governance Guide

Creating and disclosing a board skills matrix Governance institute of Australia, 2015; <https://www.asx.com.au/documents/asx-compliance/creating-disclosing-board-skills-matrix.pdf> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

<sup>95</sup> BEST DISCLOSURE: DIRECTOR

QUALIFICATIONS & SKILLS, COUNCIL OF INSTITUTIONAL INVESTORS, 2014; [https://www.cii.org/files/publications/governance\\_basics/04\\_28\\_14\\_best\\_disclosure.pdf](https://www.cii.org/files/publications/governance_basics/04_28_14_best_disclosure.pdf) ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

თანამშრომლებთან და ითვალისწინებდეს მათ საჭიროებებს. ასეთი კომუნიკაციის გარეშე შეუძლებელია ორგანიზაციის წარმატებული მართვა რადგან არ იქნება გუნდურობის განცდა კომპანიაში. მეორე მხრივ თანამშრომლების წუხილების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი მოტივაციის დონის შემცირება<sup>96</sup>.

დირექტორმა უნდა მოახდინოს უფლებამოსილებებისა და ფუნქციების სწორი დელეგირება. ერთი ადამიანი ვერ შეძლებს გაუმკლავდეს ორგანიზაციის მართვას იმ შემთხვევაში თუ ფუნქციები არ იქნება ეფექტიანად გადანაწილებული საზოგადოების თანამშრომლებზე. ამასთან დირექტორმა უნდა მოახდინოს დაქვემდებარებულების პიროვნული უნარების ზუსტი იდენტიფიცირება იმისათვის რომ ორგანიზაციაში თითოეულ მათგანს დააკისროს იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც შეესაბამება მათ პიროვნულ უნარებს<sup>97</sup>.

დირექტორს უნდა ჰქონდეს უნარი იაზროვნოს კრიტიკულად და სტრატეგიულად. კრიტიკული აზროვნების უნარი შეაძლებელს ხდის რისკების ანალიზს, მიღებული ინფორმაციის გააზრებას, რაც სწორი სამეწარმეო გადაწყვეტილებების საწინდარია. დირექტორს უნდა ჰქონდეს ვითარების სწორად შეფასების უნარი იმისათვის რომ მის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამოიღოს კარგი შედეგები საზოგადოებისთვის. რაც შეეხება სტრატეგიულად აზროვნების უნარს, იგი გულისხმობს გრძელვადიან პერსპექტივაში სავარაუდო შედეგების განსაზღვრას. სწორი სტრატეგიის გარეშე კომპანიის მდგრადი განვითარება ვერ იქნება უზრუნველყოფილი. სტრატეგიული აზროვნება დირექტორს სჭირდება არამარტო კომპანიის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, არამედ იმისათვისაც კომპანიის პრობლემების და მის წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრის გზები მოიძიოს<sup>98</sup>.

დირექტორს უნდა ჰქონდეს უნარი სწრაფად მიიღოს ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. კრიზისულ ვითარებაში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დირექტორი მოკლებულია შესაძლებლობას დიდი დრო დაუთმოს მისაღები გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგების ანალიზს. ეს

<sup>96</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 94

<sup>97</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 94

<sup>98</sup> იქვე, 94

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე მენეჯმენტში, როდესაც მოვლენების განვითარება დაჩქარებულია და ოპერატიულ აზროვნებას მოითხოვს<sup>99</sup>.

დირექტორმა უნდა დაამყოს დისციპლინირებული სამუშაო გარემო ორგანიზაციაში. დისციპლინის არარსებობის შემთხვევაში საზოგადოების საქმიანობა ხდება არაეფექტიანი. ასეთ დროს მცირდება ორგანიზაციის საბაზრო წარმატების შანსები, ხოლო დასახული ამოცანების შესრულება მოითხოვს მეტ დროს<sup>100</sup>.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის თანამშრომლები საჭიროებენ შრომის შესაბამის მოტივაციას. თუ ორგანიზაციაში შრომის მოტივაციის დონე დაბალია მცირდება დასაქმებული პირების შრომის პროდუქტულობაც. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორგანიზაციიდან მოხდეს კადრების გადინება (employee turnover) ასეთი პროცესის შედეგად მცირდება სამუშაო ძალა, რომელიც დასაქმებულია ორგანიზაციის ფარგლებში და იკარგება კვალიფიციური მუშახელი. აქედან გამომდინარე ორგანიზაციის დირექტორმა ან დირექტორებმა უნდა იზრუნონ რომ დაინერგოს შრომის მოტივაციის ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს დასაქმებულების მოტივირებულობის მაღალ დონეს<sup>101</sup>.

## თავი 5 დირექტორის დამოუკიდებლობა, როგორც ფუნქციონალური ავტონომიის ძირითადი გამოხატულება

### 5.1. დირექტორის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის შესაძლებლობა ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით;

---

<sup>99</sup> იქვე, 94

<sup>100</sup> იქვე, 94

<sup>101</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 94

მნიშვნელობა არ აქვს ვისი წარმომადგენელია დირექტორი. საკუთარი პასუხისმგებლობით საზოგადოების მართვა, რაც მისი ფუნქციონალური ავტონომიის წინაპირობაა აძლევს მას შესაძლებლობას დამოუკიდებლად მართოს კომპანია. დამოუკიდებლად მართვა იმავდროულად დირექტორის ვალდებულებაცაა. იგი არ უნდა მოეცეს რომელიმე აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან მესამე პირების ზეგავლენის ქვეშ. დირექტორის დამოუკიდებლობის შეზღუდვა არ მისცემს მას შესაძლებლობას რომ მართოს კომპანია ფიდუციური მოვალეობების შესაბამისად. აქციონერებს, ისევე როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ აქვთ უფლება მითითებები მისცენ დირექტორებს<sup>102</sup>. სამწუხაროდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არ არის განსაზღვრული ისეთი სამართლის ნორმები რომლებიც ქმნის დირექტორის დამოუკიდებლობის სამართლებრივ გარანტიებს საზოგადოების მართვის პროცესში<sup>103</sup>. მიუხედავად იმისა რომ პერსონალური პასუხისმგებლობის საფუძველზე საზოგადოების მართვა გარკვეულწილად გულისხმობს დირექტორის დამოუკიდებლობას, ეს ვარაუდი არასაკმარისია მმართველი ორგანოს დამოუკიდებლობის რეალური გარანტიების უზრუნველსაყოფად<sup>104</sup>. პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება დირექტორზე ნიშნავს რომ იგი პასუხს აგებს საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის პირადად, შეუზღუდავად, მთელი თავისი ქონებით, რაზედაც მიუთითებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9.6 მუხლი<sup>105</sup>. დირექტორებთან დაკავშირებით აღნიშნული დათქმა მეორდება კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტში, თუმცა ამ ნორმის მიზანია საზოგადოების ინტერესების დაცვა ვიდრე დირექტორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე საჭიროა დადგინდეს დირექტორის დამოუკიდებლობის მყარი გარანტიები. ამასთან სამართლის ნორმები იმგვარი შინაარსით უნდა იყოს მოცემული, რომ ქმნიდეს დირექტორების დამოუკიდებლობის რეალურ გარანტიებს. ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი დირექტორებს ვალდებულებებს აკისრებს თუმცა არ მოიცავს მათი დამოუკიდებლობის გარანტიებს.

<sup>102</sup> იქვე, 85

<sup>103</sup> დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება საქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017, 90

<sup>104</sup> ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, წიგნი II. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2013, 356.

<sup>105</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ თბ., 1994- მე-9.6 მუხლი

ამავე ნორმის მიხედვით საზოგადოების წესდების მიხედვით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს დირექტორის უფლებამოსილებები. ე.ი. გვაქვს შემდეგი ვითარება: ერთი მხრივ დირექტორის დამოუკიდებლობის თაობაზე დუმს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო მეორე მხრივ უფლებას ანიჭებს აქციონერებს დირექტორის უფლებამოსილებები წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრონ. ასეთ ვითარებაში სავსებით შესაძლებელია დირექტორი იქცეს ნომინალურ ფიგურად რომელიც ასრულებს მხოლოდ საზოგადოების წარმომადგენლობის ფუნქციას, ხოლო საზოგადოების მართვას კი განახორციელებენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და საზოგადოების აქციონერები. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ერთერთ ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს 55-ე მუხლის მე-7.2 პუნქტი, რომლის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს შეიძლება გადაეცეს დირექტორთა ფუნქციის ნაწილი წესდების შესაბამისად<sup>106</sup>. კანონმდებელი ზოგადად მიუთითებს დირექტორის ფუნქციების გადაცემის შესაძლებლობის თაობაზე. აქედან გამომდინარე სამეთვალყურეო საბჭოს შეიძლება გადაეცეს დირექტორის ნებისმიერი ფუნქცია. ეს ჩანაწერი ასევე მიუთითებს რომ დირექტორის დამოუკიდებლობის ხარისხი არ არის იმ პასუხისმგებლობების შესატყვისი, რასაც მას აკისრებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6-ე და 56-ე მუხლები. აქედან გამომდინარე მართებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გერმანიის კორპორაციული სამართლის მსგავსად „მეწარმეთა შესახებ“ ქართულმა მოდელმა უნდა გაითვალისწინოს დირექტორის დამოუკიდებლობის მყარი გარნტიები, რის შედეგადაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საზოგადოების სხვა ორგანოების მიერ დირექტორზე ზეგავლენის მოხდენის რისკი<sup>107</sup>. სავარაუდოდ სწორედ ასეთი ზეგავლენის რისკების პრევენციის მიზნით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 205-ე მუხლის მიხედვით „ხელმძღვანელი ორგანო არაა ვალდებული შეასრულოს სამეთვალყურეო საბჭოს, პარტნიორთა კრების ან ცალკეული აქციონერების მითითებები<sup>108</sup>“. აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს ხელმძღვანელი ორგანოს

<sup>106</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 1997, 55-ე მუხლი

<sup>107</sup> დოლიძე, დ., დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლები სააქციო საზოგადოებაში, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ #4, 2016, 120

<sup>108</sup> გულელი, გ., გიგუაშვილი, გ., განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2021, 249

დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნის მცდელობას. თუმცა ამავე ჩანაწერის მიხედვით ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია რომ ზოგიერთი გადაწყვეტილება შეუთანხმოს სამეთვალყურეო საბჭოს, თუ ეს გათვალისწინებულია კანონის ან წესდების საფუძველზე. აქედან გამომდინარე საზოგადოების წესდების მიხედვით რჩება შესაძლებლობა იმისა რომ დირექტორის უფლებამოსილებები საზოგადოების მართვის პროცესში შეზღუდული იყოს. გარდა 205-ე მუხლით გათვალისწინებული ჩანაწერისა დირექტორის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით წინადადებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს კანონპროექტის 212-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით დაუშვებელია რომ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციები გადაეცეს<sup>109</sup>. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით როგორ ავლნიშნე ამის შესაძლებლობა არსებობს თუ ორგანიზაციის წესდებაში გაკეთდება შესაბამისი ჩანაწერები.

## 5.2. დირექტორის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის შესაძლებლობა გერმანული საკორპორაციო სამართლის მიხედვით

სამართლის ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით დირექტორის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის რისკების შემცირების მიზნით გერმანიის საკორპორაციო სამართალში გამგეობის წევრების დამოუკიდებლობის მყარი გარანტიებია შექმნილი<sup>110</sup>. გერმანიის საკორპორაციო სამართალში სააქციო საზოგადოების გამგეობა წარმოადგენს აბსოლიტურად დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც არ ემორჩილება და არცაა ვალდებული დაემორჩილოს დირექტორების სამეთვალყურეო საბჭოს მითითებებს. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათის მოსაზრებები გაუზიაროს

<sup>109</sup> *ჯულელი, გ., გიგუაშვილი, გ.*, განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2021, 255

<sup>110</sup> *ჭანტურია, ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 127

გამგეობას. გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის მიხედვით გამგეობა დამოუკიდებელია აქციონერებისგან და საერთო კრებისგან<sup>111</sup>. მიუხედავად ამ მოსაზრებებისა გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის 76-ე პარაგრაფის ნორმატიული შინაარსიდან არ გამომდინარეობს, რომ გამგეობის წევრები დამოუკიდებლები არიან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან ან საზოგადოების აქციონერებისგან. სააქციო საზოგადოებების შესახებ გერმანიის კანონის 76-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი მიუთითებს იმის შესახებ, რომ საზოგადოების გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე<sup>112</sup>. კანონის არც 76-ე პარაგრაფი და არც შემდგომი პარაგრაფები არ მოიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ დაუშვებელია დირექტორის საქმიანობაში ჩარევა. მიუხედავად ამისა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 და 56.4-ე მუხლების მსგავსად გერმანიის სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 76-ე პარაგრაფის ნორმატიული შინაარსი განიმარტება როგორც გამგეობის წევრების დამოუკიდებლად მოქმედების სამართლებრივი საფუძველი. ეს მოსაზრება გამართლებულია გერმანიის სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 105-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით, რომლის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი. დირექტორების დამოუკიდებლობის სამართლებრივ საფუძველს ქმნის გერმანიის სააქციო საზოგადოებების შესახებ 111-ე პარაგრაფის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს არ შეიძლება გადაეცეს გამგეობის ფუნქციები<sup>113</sup>. ამასთან, წესდების მიხედვით, ან კანონის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს, რომ გარკვეული სახის ბიზნეს გარიგებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით. თუ სამეთვალყურეო საბჭო უარს იტყვის ასეთი თანხმობის მიცემაზე გამგეობას შეუძლია მოსთხოვოს საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღება. საერთო კრების მიერ იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის განხორციელების შესახებაც უარი თქვა სამეთვალყურეო საბჭომ საჭიროებს საერთო კრების ხმების მინიმუმ სამ მეოთხედს. წესდების საფუძველზე არ შეიძლება დაწესდეს უფრო დიდი კვორუმი საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების

---

<sup>111</sup> იქვე, 131

<sup>112</sup> გერმანიის კანონი „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“, 1965, 76-ე პარაგრაფი

<sup>113</sup> გერმანიის კანონი „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“, 1965, 111-ე პარაგრაფი

მისაღებად. გერმანიის სააქციო საზოგადოებების შესახებ აქტის შესაბამის ნორმებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დირექტორის დამოუკიდებლობა განსაზღვრულია კანონის საფუძველზე, მიუხედავად იმისა რომ საკანონმდებლო აქტი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას აღნიშნული გარემოების შესახებ.

დირექტორების დამოუკიდებლობის თაობაზე გაცილებით მკაფიოდ მიუთითებს გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი, რომლის 4.1 პუნქტის მიხედვით „გამგეობა პასუხისმგებელია დამოუკიდებლად მართოს საწარმო მისი ინტერესების შესაბამისად<sup>114</sup>“. მეორე მხრივ გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-3 პუნქტი მიუთითებს გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს კოორდინირებული მოქმედების თაობაზე. აქედან გამომდინარე აღნიშნული ორგანოები არ ექვემდებარებიან ერთმანეთს. შესაბამისად გამგეობის წევრები დამოუკიდებლები არიან სამეთვალყურეო საბჭოსგან.

### 5.3. დირექტორის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის შესაძლებლობა ა.შ.შ-საკორპორაციო სამართლის მიხედვით

დირექტორების დამოუკიდებლობის საკითხი ამერიკის შეერთებულ შტატებში განსხვავებულად არის რეგულირებული ვიდრე გერმანიის და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ბორდისა და სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების მკაფიო გაუმიჯნაობის გამო, როდესაც ბორდმა შეიძლება შეითავსოს საბჭოს ფუნქციები დირექტორების დამოუკიდებლობის საკითხი ხშირად დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შტატებში კორპორაციის მართვის მონისტური სისტემაა დამკვიდრებული. აქედან გამომდინარე არაა ერთმანეთისგან გამიჯნული დირექტორების მმართველობითი და საზედამხედველო ფუნქციები, როგორც ეს მაგალითად განსაზღვრულია გერმანიის კანონით სააქციო საზოგადოებების შესახებ. ასეთი გაუმიჯნაობის გამო ამერიკის კორპორაციული მართვის სისტემაში არ არსებობს ჰორიზონტალური, კოორდინაციაზე

<sup>114</sup> German Corporate Governance Code, 2013, art. 4.1.1;

<https://www.fsa.go.jp/en/refer/councils/corporategovernance/reference/german.pdf> ხელმისაწვდომი 06.07.2021 მდგომარეობით

დამყარებული ურთიერთობა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორებს შორის. რადგან როგორც კონტროლის, ასევე მართვის ფუნქციები დირექტორთა ბორდი ხელშია თავმოყრილი რთულია იმის განსაზღვრა როდის და ვის მიერ უნდა განხორციელდეს დირექტორების საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი. ასეთ ვითარებაში შეიძლება ბორდის ერთი ფუნქცია გადაიფაროს მეორე ფუნქციის მიერ და დირექტორების ზედამხედველობაზე კონტროლი არ ან ვერ ხორციელდებოდეს. აქედან გამომდინარე დირექტორების საქმიანობაში ჩარევის ფაქტები დარჩება კომპანიის აქციონერების ყურადღების მიღმა<sup>115</sup>. მეორე მხრივ მონისტური სისტემა არაეფექტიანია დირექტორების საქმიანობაზე კონტროლს მექანიზმის არარსებობის გამო. კორპორაციის მართვის სისტემის არაეფექტიანობა გამოააშკარავა მსხვილი კორპორაციების გარშემო ატეხილმა სკანდალებმა, სადაც გამოიკვეთა დირექტორების მიერ ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის ფაქტები.

სხვადასხვა ფინანსური კორპორაციების გარშემო ატეხილი სკანდალების შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში დღის წესრიგში დადგა დამოუკიდებელი დირექტორების ინსტიტუტის ამოქმედების საკითხი<sup>116</sup>. გლობალიზაციის პირობებში, როდესაც საბაზრო ეკონომიკა არის განვითარებული კომპანიის აქციები შეიძლება შეიძინონ წვრილმა ინვესტორებმა. ასეთი ფინანსური ოპერაციები შესაძლოა მრავალი იყო რის შედეგადაც ჩნდება კომპანიის საკუთრებისა და მისი მენეჯმენტის „გახლეჩვის“ პრობლემა. კომპანიის აქციების ინვესტორთა წვრილ ჯგუფებზე გადანაწილების შესაძლებლობა აჩენს რისკებს რომ დირექტორი საკუთარი ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს ნაცვლად საზოგადოების ინტერესებისა და ჩაერთვება ფინანსურ მაქინაციებში იმისათვის რომ მიიღოს ფინანსური სარგებელი. ეს რისკი ამერიკული მართვის სისტემის შემთხვევაში უფრო დიდია ვიდრე გერმანულში, რადგან

---

<sup>115</sup> *Mendez, M.*, Corporate Governance a USA/EU comparsion, University of Wahington, 2014, 20; <https://foster.uw.edu/wp-content/uploads/2014/12/MiguelMendezFinal.pdf> ხელმისაწვდომი 07.07.2021

მდგომარეობით

<sup>116</sup> *ყოფიანი, ვ.*, დამოუკიდებელ დირექტორთა როლი და სამართლებრივი რეგულირება აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და გერმანიაში, 2017; <https://bm.ge/ka/article/damoukidebel-direqtorta-rol-i-da-samartlebrivi-regulireba-ashsh-shi-gaertianebul-samefosa-da-germaniashi/10311> ხელმისაწვდომი 07.07.2021 მდგომარეობით

დირექტორთა ბორდი არ კონტროლდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ<sup>117</sup>. ამ გარემოებას ადასტურებს ისიც რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მსხვილი კორპორაციების: ენრონის, ვორლდეკომის და ჰოლინგის შემთხვევაში დირექტორებმა საკუთარი ფინანსური ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენეს აღნიშნული საზოგადოებების ქონება. შედეგად მიღებული იქნა სარბანეს ოქსლის აქტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა დირექტორების საქმიანობის შემზღუდავი მექანიზმების ჩამოყალიბება<sup>118</sup>. აღნიშნული აქტის მიხედვით განისაზღვრა სააქციო საზოგადოებაში მენეჯმენტზე კონტროლის მექანიზმი. დამოუკიდებელ აუდიტორებს მიენიჭათ სააქციო საზოგადოების დირექტორების კონტროლის ფუნქცია. ოქსლის აქტის თანახმად დამოუკიდებელმა აუდიტმა შეიძლება შეამწმოს კომპანიის ბუღალტრული ჩანაწერები, ფინანსური დოკუმენტაცია, შეისწავლოს როგორ ხორციელდება სააქციო საზოგადოების მიერ ფინანსური ოპერაციები და როგორ არის მოწყობილი მისი ფინანსური სისტემა, ასევე გამოარკვიოს რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა საზოგადოების დირექტორთა საბჭო როდესაც შეიმუშავა კომპანიაში დანეგირი ფინანსური სისტემა. დამოუკიდებელმა აუდიტმა ასევე შეიძლება შეისწავლოს საზოგადოების ანგარიშები და გამოააშკარავოს ის წინააღმდეგობები, რომლებიც ასახულია აღნიშნული ანგარიშების ტექსტში. დამოუკიდებელი აუდიტის ერთერთ ფუნქციას წარმოადგენს მენეჯმენტის მიერ ორგანიზაციაში დანერგილი სერვისების და ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის შეფასება<sup>119</sup>. საბაანეს ოქსლის აქტის მიხედვით ინტერესთა კონფლიქტს ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის სერვისის განხორციელებას გადაწყვეტს კომპანია რომელიც დაარეგისტრირეს გასაკონტროლებელი ორგანიზაციის დირექტორებმა. ასევე დაუშვებელია აუდიტის ჩატარება კომპანიაში იმ ორგანიზაციის მიერ სადაც საქმიანობენ შესამოწმებელი საზოგადოების დირექტორები<sup>120</sup>.

---

<sup>117</sup> Stein, G., Plaza, S., The role of independent director in ceo supervision and turnover, Iese business school, university of Navara, 2011, 2; <https://media.iese.edu/research/pdfs/ESTUDIO-133-E.pdf> ხელმისაწვდომი 07.07.2021 მდგომარეობით

<sup>118</sup> ჭანტურია, ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 122

<sup>119</sup> SarbanesOxley Act, 2002, 22;

[https://pcaobus.org/About/History/Documents/PDFs/Sarbanes\\_Oxley\\_Act\\_of\\_2002.pdf](https://pcaobus.org/About/History/Documents/PDFs/Sarbanes_Oxley_Act_of_2002.pdf) 22

<sup>120</sup> Ibid. 31

დამოუკიდებელი დირექტორების ინსტიტუტის ამოქმედების მიზანს წარმოადგენდა ისეთი პირებისთვის კომპანიის მართვის სადავეების გადაცემა, რომლებიც იქნებოდნენ დამოუკიდებლები თავიანთ საქმიანობაში და რომლების მიკერძოებულობის მიმართ ეჭვები არ იარსებებდა. დამოუკიდებელია დირექტორის მას შემდეგ რაც სამეთვალყურეო საბჭო დაადასტურებს რომ მას არ გააჩნია ფინანსური დაინტერესება კომპანიის მიმართ<sup>121</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ამოქმედდა დამოუკიდებელი დირექტორების ინსტიტუტი აღნიშნული რეფორმის მომხრეების აზრით არსებობს რიგი ფაქტორები, რის გამოც იგი არ არის ეფექტიანი. პირველი ფაქტორი ესაა დამოუკიდებელი დირექტორების დროის სიმცირე. დამოუკიდებელი დირექტორები წარმოადგენენ გარე დირექტორებს, მოწვეულ პირებს რომლებიც შეიძლება საქმიანობდნენ ისეთ სფეროებში, რომლებიც არაა დაკავშირებული სააქციო საზოგადოების მართვასთან. ამიტომ დროის სიმცირის გამო დამოუკიდებელი დირექტორები ვერ განახორციელებენ საზოგადოების დამოუკიდებლად მართვას. მეორე ფაქტორი, რაც არაეფექტიანს ხდის დამოუკიდებელი დირექტორების მუშაობას არის არასაკმარისი კვალიფიკაცია. ეს პირები არ არიან კარგად გარკვეული ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკაში. ამიტომ მათ მიერ ორგანიზაციის დამოუკიდებლად მართვის ხარისხი დაბალია. მესამე შემაფერხებელი გარემოებაა სტაფის არარსებობა. დამოუკიდებელ დირექტორებს არ ყავთ საკუთარი სტაფი. აქედან გამომდინარე ორგანიზაციაში ნაკლებად აქვს დასაყდენი იმ კადრების მეშვეობით, რომლებიც ასრულებენ მათ დავალებებს. დამოუკიდებელი დირექტორების საქმიანობის შემაფერხებელ ფაქტორებად უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებლობის დაბალი მოთხოვნები და პირადი პასუხისმგებლობის საფრთხის არაეფექტურობაც<sup>122</sup>.

დირექტორების დამოუკიდებლობის თაობაზე მიუთითებს კორპორაციების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების მოდელური კანონის მე-8 პარაგრაფი. აღნიშნული პარაგრაფის მიხედვით *„მთელი კორპორაციული ძალაუფლება მოქცეულია დირექტორთა ბორდის ხელში. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული*

---

<sup>121</sup> *ყიფიანი, ვ.*, დამოუკიდებელ დირექტორთა როლი და სამართლებრივი რეგულირება აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და გერმანიაში, 2017

<sup>122</sup> *ჭანტურია, ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 123

ლონისძიებები ხორციელდება დირექტორების მიერ ან მათი მეთვალყურეობის ქვეშ<sup>123</sup>“ დირექტორებმა მათი გადაწყვეტილებების განხორციელებაზე ზედამხედველობის უფლებამოსილებები შეიძლება გადასცენ აღმასრულებელ ოფიცრებს ან მენეჯერებს. კორპორაციების შესახებ მოდელური აქტის მე-8 პარაგრაფის მიხედვით ზოგიერთი კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია საზოგადოების დირექტორების მიერ უნდა შედგებოდეს დამოუკიდებელი დირექტორებისგან. მიუხედავად იმისა რომ მოდელური კანონის მიხედვით არ არის განსზღვრული დამოუკიდებელი დირექტორის ცნება, კანონის კომენტარში აღნიშნულია, რომ დამოუკიდებელი დირექტორი არ შეიძლება იყოს დირექტორთა ბორდის ყოფილი ან ამჟამინდელი წევრი. იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მაღალკვალიფიციური პროფესიონალი. დამოუკიდებელ დირექტორს არ უნდა ჰქონდეს ფინანსური ან მსგავსი შინაარსის ურთიერთობა ბორდის სხვა წევრებთან. ამასთან დამოუკიდებელი დირექტორის ოჯახის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ ფინანსური, ან საქმიანი ურთიერთობა საზოგადოების ბორდის წევრებთან<sup>124</sup>. საკითხის ამგვარი მოწესრიგება ნაკარნახევია იმ გარეობით, რომ საზოგადოების დირექტორის დამოუკიდებლობის ხარისხი უნდა იყოს მაღალი იმისათვის რომ მან უზრუნველყოს დირექტორთა საბჭოს წევრების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულება. ლოგიკურია რომ თუ დამოუკიდებელ დირექტორს ექნება ფინანსური დაინტერესება ორგანიზაციის ბორდის წევრების მიმართ მასზე ადვილი იქნება ზეგავლენის მოხდენა. არსებითად ამ ფინანსური ინტერესების შედეგად დირექტორი თავიდანვე მოქცეული იქნება ზეგავლენის ქვეშ და ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული ფუნქციების კეთილსინდისიერად განხორციელებას. კორპორაციების შესახებ მოდელური აქტის მე-8 პარაგრაფის მიხედვით დირექტორების უფლებამოსილებები შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოების წესდების მიხედვით. წესდების თანახმად დირექტორების უფლებამოსილებების შეზღუდვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის მოთხოვნებს. ამასთან დირექტორების უფლებამოსილებების ფარგლების შეზღუდვა წესდების მიხედვით საჭიროებს ყველა

<sup>123</sup> Model Business Corporations Act, 2016

161, [https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/business\\_law/corplaws/2016\\_mbca.authcheckdam.pdf](https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/business_law/corplaws/2016_mbca.authcheckdam.pdf) ხელმისაწვდომი 07.07.2021 მდგომარეობით

<sup>124</sup> Model Business Corporations Act, 2016, 172

აქციონერის თანხმობას, რაც გამოხატული უნდა იყო ხელმოწერით წესდების ტექსტზე<sup>125</sup>.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს კორპორაციული მართვის ერთიანი მოდელი, როგორც მაგალითად გერმანიაში. ყველა კომპანიას აქვს თავისი კორპორაციული მართვის პრინციპები. მაგალითად საინვესტიციო კომპანია ჰერმესის კორპორაციული პრინციპების მიხედვით დირექტორთა საბჭო დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი დირექტორებისგან იმგვარად, რომ დაცული იყოს შესაბამისი ბალანსი დირექტორების კვალიფიკაციის თვალსაზრისით. ე.ი. საბჭო უნდა შედგებოდეს სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისგან, რომლების საქმიანობაც შემხებლობაშია სააქციო საზოგადოების საქმიანობასთან. დამოუკიდებელი დირექტორები უნდა ეხმარებოდნენ კომპანიის მენეჯერებს რისკების სწორ მენეჯმენტში და კომპანიის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრაში<sup>126</sup>. ჰერმესის კორპორაციული მართვის პრინციპების მიხედვით დირექტორის დამოუკიდებლობა გულისხმობს დამოუკიდებლობას იმ გაგებით რა მნიშვნელობითაც ამ ცნებას იყენებენ სანსაკის და ენიუეს-ის კორპორაციები. ამ პრინციპების თანახმად დირექტორი დამოუკიდებლად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იმყოფება საქმიან კავშირში საბჭოს სხვა წევრებთან. არ აკავშირებს მათთან კომერციული ინტერესები პირდაპირ ან ირიბად და არ არის საქმიან ურთიერთობაში საბჭოს წევრებთან. დირექტორი ვერ ჩაითვლება დამოუკიდებლად ვერც იმ შემთხვევაში თუ არის სხვა ორგანიზაციაში დირექტორთა საბჭოს წევრი, სადაც საქმიანობენ საზოგადოების ის დირექტორები რომლებიც დამოუკიდებელ დირექტორთან ერთად არიან დირექტორთა საბჭოს წევრები. დაუშვებელია როგორც კომერციული ისევე არაკომერციული ორგანიზაციის შემადგენლობაში დირექტორთა საბჭოს წევრობა<sup>127</sup>.

მაიკროსოფტის კორპორაციული მართვის პრინციპების მიხედვით ასევე განმტკიცებულია დირექტორების დამოუკიდებლობა. დირექტორთა ბორდი თანამშრომლობს კომპანიის მენეჯერებთან იმისათვის, რომ განსაზღვროს

---

<sup>125</sup> Ibid, 172

<sup>126</sup> Principles of corporate governance, Hermes Eoc, 2017, 3; <https://www.hermes-investment.com/ukw/wp-content/uploads/sites/80/2017/10/US-CG-Principles-Oct-2017.pdf> ხელმისაწვდომი 07.07.2021 მდგომარეობით

<sup>127</sup> Principles of corporate governance, Hermes Eoc, 2017, 3

საზოგადოების მიზები და ორგანიზაციის ამოცანები, ასევე ორგანიზაციის სტრატეგია<sup>128</sup>.

დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებლობაზე მიუთითებს კომპანია კოკა-კოლას კორპორაციული მართვის პრინციპებიც, რომლის თანახმად თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, დირექტორებს შეუძლიათ დაეყრდნონ კომპანიის მენეჯერების, მრჩევლების და დამოუკიდებელი აუდიტორების რჩევებს. დირექტორთა საბჭოს აქვს უფლებამოსილება, დაიჭიროს დამოუკიდებელი იურიდიული, ფინანსური ან სხვა მრჩევლები, რადგან ისინი ამას საჭიროდ თვლიან<sup>129</sup>.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ამერიკის შეერთებული შტატების კორპორაციული მართვის სისტემაში დირექტორებზე ზეგავლენის მოხდენის რისკები გააჩინა საზოგადოების ორგანოებს შორის ფუნქციების გაუმიჯნაობამ. აღნიშნული გაუმიჯნაობის შედეგად მსხვილ კორპორაციებში დადგა დირექტორთა ბორდის კონტროლის პრობლემა. ამ მიზანს ემსახურება საბინეს-ოქსლის აქტის მიხედვით დამკვიდრებული დამოუკიდებელი აუდიტების ინსტიტუტი. გერმანიის კორპორაციული მართვის მოდელისგან განსხვავებით, სადაც დირექტორის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის რისკები არსებობს სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის ფუნქციების აღრევის შემთხვევაში, მართვის ამერიკულმა მოდელმა წარმოშვა დირექტორების საქმიანობის კონტროლის პრობლემა. თუკი პარალელს გავავლებთ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ამჟამინდელ რედაქციასთან ქართული მოდელი ამერიკულის მსგავსია, თუმცა მოიცავს რისკებს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში დირექტორები მოექცნენ საბჭოს წევრების ზეგავლენის ქვეშ. მეორე მხრივ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით შესაძლებელია საზოგადოებაში მოქმედებდეს მართვის გერმანული მოდელი, სადაც საზოგადოების მართვა სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა ბორდის კოორდინირებული მოქმედების პირობებში მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ნაკლებად არსებობს დირექტორების მიერ უფლებამოსილებების გადამეტების და ფიდუციური მოვალეობების დარღვევის რისკები.

<sup>128</sup> Microsoft corporate governance; <https://www.microsoft.com/en-us/Investor/corporate-governance/framework.aspx> ხელმისაწვდომი 07.07.2021

<sup>129</sup> Corporate Governance Guidelines , 2017; <https://www.coca-colacompany.com/policies-and-practices/corporate-governance-guidelines> ხელმისაწვდომი 07.07.2021

დასკვნა

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ დირექტორები უნდა წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ ორგანოს საზოგადოების მართვის პროცესში. დირექტორების დამოუკიდებლობის სათანადო გარანტიების უზრუნველყოფა თანამედროვე საკორპორაციო სამართლის აქტუალური საკითხია. სწორედ ამიტომ, როგორც ა.შ.შ.-ის ასევე გერმანიის საკორპორაციო სამართლის ნორმები შეიცავენ მნიშვნელოვან რეგულაციებს აღნიშნული მიმართულებით. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში კანონმდებელმა გაითვალისწინა გერმანიის გამოცდილება და „სააქციო საზოგადოებების შესახებ“ კანონის მსგავსად განსაზღვრა, სამსახურე ხელშეკრულების შინაარსი, ასევე დირექტორის მიერ საზოგადოების საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე ხელმძღვანელობის პრინციპი რაც მისასაღმებელია დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლების დადგენის თვალსაზრისით. სამსახურე ხელშეკრულების ცნების განსაზღვრის შედეგად მოიხსნება კითხვები იმ კონტრაქტის სამართლებრივი ბუნების თაობაზე, რომელიც იდება საზოგადოებასა და დირექტორს შორის. ასევე დადგინდება თუ რა ურთიერთობაში იმყოფება დირექტორი საზოგადოებასთან. პირადი პასუხისმგებლობით საზოგადოების მართვა, კი უთუოდ გაზრდის აღმასრულებელ ფუნქციას და დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად განხორციელების შესაძლებლობას.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ დირექტორი საქართველოს საკორპორაციო სამართლის მიხედვით წარმოადგენს სააქციო საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ ფიგურას, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების ინტერესებს. თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით არასაკმარისია დირექტორის დამოუკიდებლობის გარანტიები. იგულისხმება, რომ კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს აღმასრულებელთა მიუკერძოებლობის პრინციპებს, არადა დირექტორის დამოუკიდებლობის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა საზოგადოების ინტერესების დაცვით არის ნაკარნახევი. გამომდინარე აქედან გერმანიის სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის და კორპორაციული მართვის კოდექსის მსგავსად სასურველია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონშიც განისაზღვროს ნორმები, რომლებიც განამტკიცებს დირექტორის დამოუკიდებლობას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რომ ამ

თვალსაზრისით ასევე წინადადებულ ნაბიჯად შესაძლოა ჩაითვალოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ დირექტორების ფუნქციების შეთავსების დაუშვებლობაზე მითითება, რაც გათვალისწინებულია ახალი კანონის პროექტის მიხედვით. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა და სააქციო საზოგადოებების შესახებ გერმანიის კანონის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ წესდების მიხედვით დირექტორის ფუნქციების შეზღუდვის საკითხთან მიმართებით კანონმდებელმა გაიზიარა გერმანიის საკორპორაციო სამართლის გამოცდილება.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად კვლავ არასავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა. აქედან გამომდინარე იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებაში იმოქმედებს კორპორაციული მართვის მონისტური მოდელი სუსტი იქნება კონტროლი დირექტორების საქმიანობაზე. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, რომ კანონპროექტის მიხედვით ასეთ დროს აღმასრულებელ დირექტორთა საქმიანობის ზედამხედველობა არა-აღმასრულებელ პირებს ეკისრებათ, პროექტის ტექსტი კი არ განსაზღვრავს იმას, თუ ვინ იგულისხმება არა-აღმასრულებელ პირებში. ა.შ.შ-ს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი მოდელი ხშირად ხდება დირექტორების მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებების მიზეზი. კორპორაციული მართვის მონისტური სისტემის არჩევის შემთხვევაში, ლარგი იქნება მკაფიოდ განსაზღვროს მართვაზე და კონტროლზე უფლებამოსილი თითოეული ორგანო და დადგინდეს მათ სორის ფუნქციათა დეზუნქციის მყარი გარანტიები.

ახალი კანონპროექტით სააქციო საზოგადოების კორპორაციული მართვის ორსაფეხურიანი სისტემის არჩევისას „სააქციო საზოგადოების შესახებ“ გერმანიის კანონის მსგავსად დადგენილია დირექტორთა კონტროლის შედარებით უფრო მყარი მექანიზმები. ამ მხრივ პირველ რიგში იგულისხმება სს-ში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა. შედეგად ერთმანეთისგან მკაფიოდ იმიჯნება საზედამხედველო და მმართველობითი ფუნქციები და საზოგადოება შედარებით უფრო დაცულია დირექტორების მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისგან, რომლებიც აზიანებენ კორპორაციის ინტერესებს. დირექტორების საქმიანობაზე კონტროლის მექანიზმად უნდა მივიჩნიოთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული წესი, რომლის თანახმად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი

გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას.ამდენად სამეთვალყურეო ორგანო,როგორც შიდა კორპორაციული კონტროლის ინსტიტუციონალური მექანიზმი კვლავაც აქტუალურია.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისი მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელმა დააზუსტა ზრუნვის და კეთილსინდისიერების მოვალეობის ცნებების მნიშვნელობა. შინაარსობრივად არსებითად არაფერი შეცვლილა თუმცა შემოთავაზებული რედაქცია უფრო ზუსტად გამოხატავს ნორმის შინაარსს. მიუხედავად ამისა კანონმდებელი პროექტის ტექსტში გვერდს უვლის ინფორმირებულობის საკითხის განსაზღვრას. პროექტის მიხედვით ვერ დგინდება ინფორმირებულობის როგორი სტანდარტი გამორიცხავს დირექტორის პერსონალურ პასუხისმგებლობას ფიდუციური მოვალეობების დარღვევის გამო. მიზანშეწონილია კანონმდებლის მიერ გათვალისწინებული იქნას ა.შ.შ.-ის კორპორაციების შესახებ მოდელური კანონის და დელავერის შტატის კორპორაციების შესახებ კანონის გამოცდილება, დადგინდეს ის ინფორმირებულობის სტანდარტი, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს დირექტორმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შედეგად აღარ იარსებებს იმის საჭიროება, რომ დირექტორის ინფორმირებულობის შეფასება მთლიანად სასამართლო პრაქტიკაზე იყოს დამოკიდებული.

ამდენად საბოლოოდ უნდა აღინიშნოს,რომ დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლებში უზრუნველყოფას და საზოგადოების წინაშე მისი პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში კორპორაციული მართვის ეფექტური მოდელის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.ეს ყოველივე,როგორც პირდაპირ,ისე ირიბად ხელს უწყობს კორპორაციის მმართველი და მაკონტროლებელი რგოლების მიერ საკუთარ ფუნქციათა ინდივიდუალურად განხორციელების შესაძლებლობას,სპობს ორგანოთა შორის უფლებამოსილებათა აღებას და იძლევა მათი მხრიდან კანონითა და საწარმოს წესდებით განსაზღვრული საქმიანობის სათანადოდ შესრულების გარანტიებს.

## ბიბლიოგრაფია

1. ბაქაქური, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ., ჯუღელი, გ., გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019
2. ბოჭორიშვილი, მ., თოხაძე, ა., დირექტორის მოვალეობათა კოლიზია, როგორც ინტერესთა კონფლიქტის ცალკეული შემთხვევა, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, #1(2), თბ., 2014
3. ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, წიგნი II. გამომცემლობა“ მერიდიანი“, თბ., 2013
4. ბურდული , ი., ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისათვის, ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“ №2, 2019
5. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, 2021
6. დოლიძე, დ., კორპორაციული მართვის სამართლებრივი მოწესრიგება სააქციო საზოგადოებაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2017
7. დოლიძე, დ., დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლები სააქციო საზოგადოებაში, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ #4, 2016
8. თოდუა, უ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), 2019
9. მალრაძე, გ., მეწარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის /აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი №1, 2017
10. რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 724-ე მუხლის კომენტარი, თბ., 2019
11. ქოქრაშვილი, ქ., სამეწარმეო სამართალი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2010
12. ჯუღელი, გ., გიგუაშვილი, გ., განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2021
13. ჭანტურია, ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006

14. ყიფიანი, ვ., დამოუკიდებელ დირექტორთა როლი და სამართლებრივი რეგულირება აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და გერმანიაში, 2017
15. Baums, T., Personal Liabilities of Company Directors in German Law, University of Osnabruck, 2014
16. Bainbridge., S., The Business Judgment Rule as Abstention Doctrine, Vanderbilt Law Review #83, 2019
17. BEST DISCLOSURE: DIRECTOR QUALIFICATIONS & SKILLS, COUNCIL OF INSTITUTIONAL INVESTORS, 2014
18. Despovic, D., Fiduciary Duties and the Business Judgment Rule, University of Tilburg, 2010
19. Good Governance Guide Creating and disclosing a board skills matrix Governance institute of Australia, 2015
20. Corporate Governance Guidelines , 2017
21. Principal-Agent Problem The conflict of interest between the agent and the principal, 2016
22. Principles of corporate governance, Hermes Eoc, 2017
23. Microsoft corporate governance, 2017
24. Stein, G., Plaza, S., The role of independent director in ceo supervision and turnover, Iese business school, university of Navara, 2011
25. Maddison, K. Duties and liabilities of company directors Under German and Estonian law: a comparative analysis, RGSL RESEARCH PAPERS; 2012
26. Mendez, M., Corporate Governance a USA/EU comparison, University of Wahington, 2014
27. Mishra, S., Director Skills: Diversity of Thought and Experience in the Boardroom, 2018
28. Holland, R., DELAWARE DIRECTORS' FIDUCIARY DUTIES: THE FOCUS ON LOYALTY, U. OF PENNSYLVANIA JOURNAL OF BUSINESS LAW , Vol. 11:3, 2009

## სასამართლო პრაქტიკა

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-945-903-2013
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1158-1104-2014
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-882-832-2015
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-687-658-2016
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-559-2019
35. გერმანიის მართლმსაჯულების სასამართლოს 2008 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე BGH, 01.12.2008 - II ZR 102/07
36. Cede & Co. v. Technicolor, Inc. Delaware Supreme Court., 1993
37. Aronson v. Lewis, Delaware Supreme Court, 1984
38. BGH, judgment of November 22, 2005 - 1 StR 571/04; LG Munich I

## გამოყენებული კანონები

39. გერმანიის კანონი „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“, 1965
40. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019
41. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 1994
42. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997
43. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, თბ., 2021
44. SarbanesOxley Act, 2002
45. Stock Corporation Act, 2015
46. German Corporate Governance Code, 2013

47. General corporation law, 2016

48. GUIDING PRINCIPLES OF CORPORATE GOVERNANCE, the university of tennesse,  
2016

49. Model Business Corporations Act, 2016